წელიწადი მეორე — ფასი 5 კაპ. — შაბათი, 14 მაისი 1916 წ. — № 107

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

გაზ. „საქართველოს“ რედაქცია

მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ გერმანეთში ლეიპციგის ახლო სოფ. პატარა შოხაში 7 ამ თვეს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გულწრფელი მამულიშვილი და პუბლიცისტი

ლადო დარჩიაშვილი

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დედა ანასტასია დავითის ასული, მეუღლე ელენე ლუარსაბის ასული,—ძმები: მიხეილ და მღ. რაჟდენი,—რძლები: დარია გიორგის ასული და ელისაბედ იოსების ასული, ძმისწულები: ელენე, ირაკლი და შალვა დარჩიაშვილები და დუსა ივანეს ასული და დისწული თამარა შიუკაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გერმანეთში უდროვოდ გარდაიცვალა საყვარელი

ლადო ივანეს ძე
დარჩიაშვილი

პანაშვიდი კვირას, 15 მაისს, დღის 11 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (2—96—1)

დამწუხრებული მშობლები ზაქარია და მეუღლე მისი ევა გენებაშვილები, დეიდა მარიამი ჩხირაძე და მამიდა პელაგია ჩხირაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტომსკის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტის

სოლომონ ზაქარიას ძის
გენებაშვილის

გარდაცვალებას. წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქმნება სოფელ დიღომში, კვირას, 15 მაისს. (2—83—1)

სახალხო სახლი

სამშაბათს 17 მაისს ქართ. დრამ. დასის მსახიობთა ამხანაგობის მიერ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ურიელ აკოსტა

ტრაღ. 5 მოქ. გუცკოვისა, თარგმ. ი. ბაქრაძისა

მონაწილეობას მიიღებენ: დავითაშვილი ნ., ბეჟანიშვილი ს., ვლ. ალ.-მესხიშვილი, გუნია ვალ., გომელაური ზაქ., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ალ., ზარდალიშვილი ი., მამფორია ილ., კორიშელი პ., გვარამე ნ., ვარვარიძე, ვ.

წარმოდგენის დასაწყისი საღ. $8^1/_2$ ს. — რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.
ადგილების ფასი 30 კ.-დან 2 მ. 40კ.-მდე. (3-97-1)

ახალი კლუბი

კვირას, 15 მაისს, გრიგოლ ამაღლობელი

ქართულ ენაზე წაიკითხავს ფილოსოფიურ-სოციალურის თვალსაზრისით

რეფერატს შემდეგ თემაზე

„ქართული კრიტიკის სიბეცე და ძალი გრძნეული“—ალ. შანშიაშვილისა.
დაწვრილებით პროგრამებში. — ბილეთები იყიდება „ახალი კლუბის“ კასაში.
დასაწყისი სწორედ დღის $12^1/_2$ საათზე (2—98—1)

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

სტუდენტები

ამზადებენ მსურველთ სასულიერო სასწავლებლის და სემინარიისათვის.
წყნეთის ქუჩა № 15. იკითხეთ პარიკმახერთან. (14—174—1)

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

დ. ზესტაფონში

ექიმი

დ. კ. მაჭავარიანი

5 მაისიდან მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
ტელეფონი, 17—21.

გამოვიდა გაზ. „საქართველოს“ პრემია

მერანი

წიგნი I.

გაზ. „საქართველოს“ თბილისის წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ მიიღონ რედაქციაში, მოსკოვის ქუჩა № 4. პროვინციის წლიურ ხელის მომწერთ პრემია გაეგზავნებათ ხარჯის ფასდადებით.

ცალკე გასასყიდად „მერანი“ ღირს 2 მანეთი.

კრებულში მოთავსებულია:

1. სანდრო შანშიაშვილი—სალამური.
2. ი. გრიშაშვილი—რა კარგი ხარ...
3. კ. მაყაშვილი—სიკვდილ სიცოცხლის ცეკვა.
4. ინ-ბანი—ცხოვრების მგზავრი. წავართვი მზეო. გრძნეული ჩანგი. მზიელა.
5. ს. შანშიაშვილი—ბერდო ზმანია.
6. შიო მღვიმელი—მუდამ სევდიანს.
7. ვ. რუხაძე—ამონაკვნესი, ვნახე ქალი.
8. გ. ქუჩიშვილი—ღამე ნატეხი, მერცხლები, ღელვა.
9. ლეო ქიაჩელი—მუხა და ტირიფი.
10. დ. კასრაძე—ღვირლვა.
11. ალ. ყაზბეგი—დარო.
12. ტრ. რამიშვილი—ჭკუა მხიარული.
13. დიმიტრი არაყიშვილი—თავისუფალი მარში (ნოტებზე).

წიგნი დასურათებულია მხატვარ ვალიკო ხიდაშელ-ერისთავის მიერ.
წიგნში ჩართულია 4 სურათი სიპ ქაღალდზე და 16 სურათი ტექსტში.

მოდის მაღაზია
მ. ბაშარულისა

სასახლის ქუჩაზე

იშოვება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი

მხოლოდ ევროპიული

(—83—)

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

ა. დ. შაჰბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

თბ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე

იწვევს საზოგადოების წევრთ არაჩვეულებრივ კრებაზე ამა წლის 18 მაისს საღამოს 9 საათზე ახალ კლუბის დარბაზში. კრებას დაესწრება საზოგადოების საპატიო წევრი ა. ი. სუმბათაშვილი—იუჟინი.

განსახილველი საგნები:

1) მომავალ სეზონის მოწყობის საკითხი. 2) ახლად ჩაწერილ წევრთა უფლება. 3) პენსიონერების საკითხი. 4) დამსახურებულ მსახიობის ვ. გუნიას იუბილე. 5) სარევიზიო კომისიის არჩევა. (2—97—1)

თეატრ „ავჭალაბარ პალასში“

კვირას, 15 მაისს სევერიან ხიმშელი ადგილობრივ სცენის მოყვარულთა დახმარებით მართავს „დილა-წარმოდგენას“. წარმოდგენილი იქნება:

1. დივერტისმენტი (სიტყვა ავლაბრისა და ხარფუხის შესახებ, ლექსები, სცენები და სიმღერები)

2. ბატონი და ყმა — 3 მოქ. დრამა გადმოკ. შ. დადიანისა.

3. ოთხი იმერელი — მეტად მხიარული კომ. დ. მესხისა

მონაწ. მიიღ. ქ-ნი მარგველაშვილი; ბ.ბ. ასათიანი, ბერიძე, მგალობლიშვილი, სულხანიშვილი, სალაყაია, თავდგირიძე, პაპინაშვილი, ჭელიძე, წულაძე, ხიმშელი, ჭიჭინაძე და სხვ.

დასაწყისი 1 საათზე. — რეჟისორი ალ. თავდგირიძე.
ადგილების ფასი 25 კ.-დან 1 მ. 15 კ.-მდე. — გამგე დ. გოცირიძე.

მსურველთ შეუძლიანთ

დაიკვეთონ (გაზეთ საქართველოს რედაქციაში) მ. ჭიაურელის

ქანდაკებანი (ალიბასტრისა)

თამარ მეფისა და ვასო აბაშიძისა

რომელნიც „საქართველოს“ დამატებაში დაიბეჭდა.

3—95—2 — ფასი თითო ქანდაკებისა 15 მანეთი.

## ომის ამბები

### ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 12 მაისი. ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი.** კუნძულ დადენის დასავლეთ მიდამოებში მკაცრი საარტილერიო ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა იერიში მიიტანეს რუსების სადარაჯო ადგილზე, რომელიც უკან დასწიეს და პირველი ხაზის ერთი თხრილი ხელთ იგდეს. რუსებმა კონტრ-იერიშით ამ ადგილებიდან უკუ აგდო მტერი და თავის თხრილებს დაუბრუნდა. რუსების ზარალი მცირეა. სად. ოლიკის ჩრდილოეთით გერმანელებმა კარპილოვკაზე იერიში მიიტანეს და მავთულის ხლართის გარღვევა მოინდომეს, მაგრამ რუსებმა ზარბაზნით მოიგერიეს. სხვა ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

**კავკასიის ასპარეზი.** მოსულის მიმართულებით ოსმალებმა რევანდუზას შეუტია, რომელიც მოიგერიეს. რუსის ჯარი, რომელიც ქერმანშაჰთან და კასრიშირინასთან მოქმედებდა მდ. ტიგროსთან, კუტ-ელ-ამარას ქვემოდ ინგლისის ჯარს შეუერთდა. 9 მაისს ყაზახები ინგლისის მესოპოტამიის კორპუსის ბანაკში გამოცხადდნენ.

—

**ლონდონი,** 11 მაისის ცნობა. ვიმის მაღლობთან მდგომარეობა არ შეცვლილა. ინგლისის ჯარმა წაიწია და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება. მდ. სუშეს ორთავ ნაპირზე მკაცრი საარტილერიო სროლაა.

**რომი,** 11 მაისი. ოფიციალი. იტალიის მთავარ ბანაკის ცნობა. ლაგორიგოს ველზე, ადიჟეს ორთავ ნაპირზე მტერი ჩვენ თხრილებს ზარბაზნებს უშენს. მტრის რაზმი, რომელიც ლიცანადან მარკოსკენ შეეცადა წაწევას, ჩვენმა ზარბაზნებმა შეაჩერა. მტრის იერიში მონტედიმეცოსთან შევაჩერეთ. ტერანოლოს და ასტიკოს შუა ჩვეულებრივი სროლაა. პოზენას და ასტიკოს ზემო მიდამოები გავანთავისუფლეთ და წესიერად უკან დავიხიეთ. ჯარი არსეროს მიდამოებში მაგრდება. არტილერია, რომლის გამოტანაც ვერ შევძელით, გავანადგურეთ.

ასტიკოს და ბრენტას შუა მტერი ჩვენ ბრძოლის ხაზს მოაწვა ჩვენი უკან დახევა ნელ-ნელა და წესიერად მიმდინარეობს. კარნში მკაცრი სროლაა. აქ მტრის მფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს, რამდენიმე კაცი მოკლულია. სხვა ადგილებში ღირს შესანიშნავი არა მომხდარა-რა.

**პარიზი** 12 მაისი. საღამოს ოფიციალი. მაასის მარცხენა ნაპირზე, მორტჰომის აღმოსავლეთით, ქვეითა ჯარის ბრძოლა გრძელდება. ჩვენმა საარტილერიო ცეცხლმა, რამდენჯერმე შეაჩერა მტერი, რომელიც სოფ. კიუმერის მიმართულებიდან სცდილობდა წაწევას. ჩვენმა ჯარმა დაჟინებით კონტრ-იერიშის შემდეგ ხელთ იგდო გერმანელთა თხრილები, ამ სოფლის სამხრეთ განაპირას.

მაასის მარჯვენა ნაპირზე, დუომონის ფორტის მიდამოებში არტილერიის მოქმედება გაძლიერდა. ახლად მოსულმა ორმა ბავარიელების დივიზიამ სასტიკი იერიში მოიტანა დუომონზე და ხელთ იგდო. გერმანელები სცდილობდნენ გაერღვიათ ლაკაიეტის ტყის სანგრები, მაგრამ ჩვენმა ცეცხლმა განზრახვა ჩააშლევინა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში არსებითი არა მომხდარა რა.

**პარიზი,** 12 მაისი. დღის ოფიციალი. მაასის მარცხენა ნაპირზე „304“ სიმაღლის სექტორში და მორტჰომკიუმერის ასპარეზზე დაჟინებული საარტილერიო ბრძოლაა. ღამის განმავლობაში, ფრანგებმა წაიწიეს სოფ. კიუმერის აღმოსავლეთით. მაასის მარჯვენა ნაპირზე ძლიერი იერიშის შემდეგ, ოდრემონის მაღაროების ჩრდილოეთით, გერმანელებმა ხელთ იგდეს ფრანგთა თხრილები. დუომონის მიდამოებში, საშინელი საარტილერიო ბრძოლაა. ქვეითი ჯარის ბრძოლა არ მომხდარა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში ღამემ წყნარად ჩაიარა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**გერმანეთის დიპლომატია.**

„რუს. სლოვოს“ დეპეშით ატყობინებენ: გერმანეთი რუმინეთს შეჰპირდა სესხი ორჯელ მეტად დაჭფაროს. ბუქარესტის გაზეთები ლოისაწოულობენ და აღნიშნავენ გერმანეთის დიპლომატიის გამარჯვებას, რომელმაც შესძლო ბრატიანუ დაეჯერებინა, რომ ავსტრია-გერმანეთის გამარჯვება აუცილებელია.

**მილიუკოვის განცხადება.**

„რუს. სლოვოს“ პარიზელ კორესპონდენტს მილიუკოვმა განუცხადა: ინგლისი არამც თუ თავის ჯარს დააკმაყოფილებს თოფ-იარაღით, არამედ მალე მოკავშირეებსაც კი დაეხმარება. გარდა ამისა მილიუკოვმა დაუმატა: ტყუილია ვითომც ოსმალეთს სეპარატიული ზავი სწყუროდეს, მას გადაწყვეტილი აქვს ბოლომდე იბრძოლოს, რადგანაც თვით სტამბოლის ბედი ამ ომზეა დამოკიდებული.

**სავაჭრო გემების ზარალი.**

ამერიკელი „Army and Navy Journal“ გადმოგვცემს: როგორც ვაშინგტონში გამოირკვა 20 მარტამდე (ახ. სტ.) ომის დაწყებიდან დაღუპულა 2,000 სავაჭრო გემი. მათ შორის გერმანეთისა 600 გემი, ინგლისისა 500 (225 გემი წყალქვეშამ ჩასძირა) ინგლისის მოკავშირეთ დაჰღუპიათ 80, ხოლო ოსმალეთს 124. რაც შეეხება ნეიტრალ სახელმწიფოებს, მათ დაეღუპათ 736 გემი, მათგან 92 წყალქვეშამ ჩასძირა, 94 ნაღმმა, ხოლო 23 დაზიანებულია.

**დღევანდელ ომის მიმოხილვა**

„უტრო როსიის“ სამხედრო მიმომხილველი ბ. კლერჟე სწერს: „ეჭვი არაა რუსეთის ჩრდილო ასპარეზზე გერმანელები დიდ შემოტევისთვის ემზადებიან და თუ აქამდე არ გამოუჩენიათ ძლიერი მოქმედება, ეს ალბად ზოგიერთ მიზეზების ბრალია. სიმშილობის ასაცდენად გერმანელებმა არა თუ თავისი საკუთარი, არამედ კურლიანდიის მიწებიც კი დათესეს. თითქმის მთელი მაშველი ჯარი გერმანელებისა სახნავ-სათესის საქმეზეა წასული. მუშაობას 20 მაისამდე მორჩებიან და ისევ ბრძოლის ველს დაუბრუნდებიან. ამავე დროს, გერმანელები ავარჯიშებენ უკანასკნელად გაწვეულებს, რომლებშიაც ბევრი 18 წლისაც ურევია.

დღევანდელმა საერთაშორისო ომმა მუშაობის ფართე ასპარეზი გადაუშა-

ლა გერმანელ დედა-კაცებს. გასაოცარია, რომ გერმანელი დედა-კაცები მოწინავე სანგრებთანაც გვხვდებიან და არც ის იქნება გასაკვირველი თუ მალე გამოჩნდება მათი რაზმები საომარ იარაღით აღჭურვილი. გერმანელების გამბედაობასა და სამშობლოს სიყვარულისაგან ყოველივე მოსალოდნელია... გერმანელი დედეკაცები დიდად უწყობენ ხელს თავიანთ მეომრებს და მარჯვედაც ასრულებენ მინდობილ მეორეხარისხოვან საქმეებს.

რუსეთის ასპარეზზე ჯერ არ მომწიფებულა ხანა უსასტიკესი ბრძოლისა, რადგანაც დღემდე გერმანელების მიზანია პატარ-პატარა შეტაკებით დაასუსტონ რუსები და სამოქმედო ენერგია დაუკარგონ.

რაც შეეხება ვერდენთან მოქმედებას, მაასის მარჯვენა ნაპირზე გერმანელებმა არა თუ შესუსტეს იერიშები, უმეტესად გააძლიერეს და ხელთ იგდეს უფრო ფართო ასპარეზი მორტჰომის სიმაღლის და ავოკურის შუა. რაკი გერმანელებს ასპარეზიც გაუფართოვებიათ „304" სიმაღლის დასავლეთით, მაშასადამე მათი სურვილია სიმაღლეს სამხრეთ-დასავლეთიდან შემოუარონ. ფრანგებიც შესაფერისად მოქმედობენ და უფრო დიდ შემოტევას მოელიან ახლო მომავალში.

იტალიის ასპარეზზე ავსტრიელებმა გადალახეს მოპირდაპირის საზღვრები და საშინელი იერიშებით წინ მიისწრაფიან. ჯერ-ჯერობით, ავსტრიელ ჯარის შემოტევას, რომელსაც გენ. ბორაევიჩი ხელმძღვანელობს—დემონსტრატიული მნიშვნელობა ეძლევა ამავე დროს გენერალ დონკლის არმია სცდილობს ვენეციისკენ დიდი შეტევა მოახდინოს, შუაგული არმია კი, გენ. რორის ხელმძღვანელობით ხელს უწყობს მათი მიზნის განხორციელებას. ამასთანავე გერმანელები დიდ ყურადღებას აქცევენ ოსმალეთს, სადაც მალე მაკენზენს გაჰგზავნიან...

**გერმანელთა მიზანი**

ბუქარესტიდან მოსული ცნობით, გერმანელები ახლო მომავალში რუსეთის წინააღმდეგ გაილაშქრებს. ეს გალაშქრება ან რიგისაკენ მოხდება, ან კიდევ ოდესისაკენ, რომ ბესარაბია ხელთ იგდონ. როგორც სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან გერმანელების შეტევა ამ ადგილებში რუმინეთზე შთაბეჭდილებას ვერ იქონიებს. მაშასადამე მისი ნეიტრალიტეტი უზრუნველყოფილია.

**ბულგარეთ-გერმანიის საბოლოო კავშირი**

ვოლფის სააგენტომ გამოაქვეყნა ბულგარელ ელჩის, რიზოვის საუბარი ბულგარულ „უტროს" კორესპოდენტთან. რიზოვმა დაადასტურა „Kélnisehe Zeitung-ის ცნობა, რომლითაც ბულგარელების დელეგაციას ბერლინში მიზნად ჰქონია კავშირისთვის საიმედო ხასიათი მიეცა.

ბევრს კიდეც ეშინიან—უთქვამს რიზოვს, რომ გერმანეთთან კავშირი დასცემს ბულგარეთს და შეასუსტებს პოლიტიკურად და ეკონომიურადაო. ჩვენ უარსვყოფთ ამ შიშს და ვამბობთ გერმანეთს ეჭირვება ძლიერი და მდიდარი ბულგარეთი, ბულგარეთს კი ჰსურს კაპიტალის შემატება და ტეხნიკის უაღრესი გაძლიერება.

**წყალ-დიდობა რუმინეთში**

„ბირჟ. ვედ." საკუთარი კორესპონდენტი იტყობინება: ჩრდილო მოლდავიაში გამუდმებულმა წვიმებმა წყალდიდობა გამოიწვია და სახელმწიფოს ასი ათასი ფრანკის ზარალი მიაყენა. საშინელმა ნიაღვრებმა გაანადგურა სახლები, ხნულები და სხვა.

**რ უ მ ი ნ ე თ ი**

რუმინეთიდან იტყობინებიან: მიუხედავად იმისა, რომ ბრატიანუ რუმინეთ-ბულგარელების შეთანხმებას პოლიტიკურ მნიშვნელობას არ აძლევს, მაინც ირკვევა რუმინეთის გარეშე პოლიტიკის მიზანი. მრავალი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ რუმინეთის და ცენტრალ სახელმწიფოთა შორის შეთანხმება მკვიდრდება. ამ რამდენიმე დღის წინად, რუმინეთის მთავრობამ საზღვრებიდან უკან გაიწვია თავისი ჯარი. მთავრობის სიტყვით ეს გამოწვეულია მუშა ხელის შემცირებით. ოპოზიცია კი დანამდვილებით ირწმუნება: რუმინეთის ჯარის უკან დახევა მიეწერება ბრატიანუს და გერმანეთის ელჩ ბუშეს შეთანხმებას. მეორე მხრით გერმანეთმა ალბად უზრუნველ ჰყო რუმინეთის საზღვრები, რასაც ბულგარეთის ჯარის დობრუჯიდან სალონიკისკენ გადაყვანა მოჰყვა.

დიდი ხანი არ არის რაც გერმანეთიდან რუმინეთში 38 ვაგონი სხვა და სხვა საქონელი შეიტანეს. მატარებელს გერმანელთა სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენელები მოჰყვა. სადგურებზე რუმინეთის ოფიციალი პირები ჰხვდებოდნენ. ვაგონებს გერმანეთის, ავსტრიის, ბულგარეთის და რუმინეთის დროშები ამშვენებდნენ. გარდა ამისა ავსტრიის სამხედრო გემები რუმინეთის ნავთსადგურებით თავისუფლად სარგებლობენ, რასაც ბრატიანუ ხელს უწყობს. „Hationalul" ირწმუნება, რომ რუმინეთის დიპლომატიურ წრეებში დიდი ცვლილება მოხდება.

# ბრძოლის ველზე

ვერდენთან ბრძოლა უმწვერვალეს სიმაღლეს აღწევს. მაასის მარცხენა ნაპირზე „304" მაღლობის გარშემო საშინელი ბრძოლაა. მორტჰომ-კიუმერის მიდამოში გერმანელები იერიშს ავითარებენ. ახლოვდება მთელი ამ ზღუდის აღსასრულის დღე, რაიც თვით ვერდენის ბედს სავსებით გადასწყვეტს კიდეც. რაც შეეხება მაასის მარჯვენა ნაპირს, ფრანგთა გამარჯვება არ იყო ხანგრძლივი. მათ მიერ დუომონის სიმაგრის აღება ფრიად საბედისწერო გამოდგა. გერმანელებმა მკაცრი იერიშების უმალ დაიბრუნეს ეს ციხე. უმაგალითო მსხვერპლი გაიწირა ამ სიმაგრის გადასვლა-გადმოსვლაში.

იტალიის ასპარეზზე იტალელები კვლავ განაგრძობენ „წესიერს დახევას". როგორც ირკვევა, აქ მარტო ავსტრიელები არ იბრძვიან. კერძო დეპეშების სიტყვით აფიცრობა სულ გერმანელები არიანო. სამზადისი დიდია. ლაგარინოს ღელეში ადიჯეს ორთავე ნაპირებზე სასტიკი საარტილერიო სროლაა. ლიტინა-მაროკოს მიმართულებით, აგრეთვე მონტედიმელოსკენ ანუ ტერ რანიოლოსა და ატიკოს შუა საარტალერიო ცეცხლის მძვინვარებას თან დასდევს ავსტრიელთა იერიშები. იტალიელნი, მთავარი შტაბის მოხსენების თანახმად, „სრულის წესრიგით იხევენ". ამ ჟამად დასცალეს არსიეროს ბასეინის ბრძოლის ხაზი. ეს „წესიერი დახევა" იმაში გამოიხატება, რომ იტალელებმა მთელი არტილერია თვითონვე გაანადგურეს, რის წამოღებაც ვერ მოასწრეს. ასტივოსა და ბრენტას შუა ავსტრიელებმა განაგრძეს ლაშქრობა. აქაც იტალიელნი მძიმედ, აუშფოთებლივ იხევენ. კარნიაში სასტიკი საარტილერიო სროლაა. ქალაქის თავზე და სადგურზე მფრინავები ყუმბარებს ჰყრიან. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აქაც იტალიელნი „წესიერად დაიხევენ" და თვითვე „გაანადგურებენ ყოველისფერს", რომ ვერაგ მტერს მდიდარი დავლა ხელთ არ ჩაუგდოს.

რუსეთის ასპარეზზე ბრძოლის ხასიათი გამოურკვეველია. გერმანელები თვითვე თავგზას განგებ ურევენ და ხან რომელ პუნქტს დაასახელებენ და ხან რომელს, აქ ვაპირებთ შეტევასაო.

კავკასიის ასპარეზზე საგულისხმიეროდ შეიძლება ის ითქვას, რომ ოსმალნი შეტევის ტაქტიკას მტკიცედ ადგიან და ადვილად აღარ უგდებენ ინიციატივას რუსებს. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსის ლაშქრის მარცხენა ფრთა კვლავ წინ იწევს და როგორც გამოირკვა, მოწინავე რაზმები კიდეც შეუერთდნენ ინგლისელ ჯარებს კუტელ-ამარას ქვემოდ, ტიგროსის ნაპირზე. ეს ამბავი ფრიად საგულისხმიეროა. მალე ახალ ოპერაციებთან გვექნება საქმე. გერმანეთის შტაბი იძულებული გახდება ამ ფაქტს სათანადო ანგარიში გაუწიოს, თუ არ ჰსურს, რომ ბაღდადი დაჰკარგოს და ერთხელ კიდევ აღმოსავლეთის პოლიტიკაში სრული დამარცხება განიცადოს.

X.

**თბილისი, 14 მაისი**

**დღევანდელი კრების გამო**

დღეს ჩვენ დედაქალაქში დანიშნულია ამიერ კავკასიის მოხმარებელ საზოგადოებათა კავშირის დამფუძნებელი კრება. კოოპერაციამ უკვე გარკვეული ხასიათი მიიღო და საპატიო ადგილიც დაიჭირა ჩვენს ცხოვრებაში. ეკონომიურად ჩამოქვეითებული, საჭირო ცოდნას მოკლებული და მევახშეთაგან გაყვლეფილი ქართველი ხალხი კოოპერაციაში თავდაცვის იარაღს ხედავს და წარმოუდგენელის ხალისით ირაზმება ამგვარ ორგანიზაციებში. ჩვენმა ქვეყანამ ამ მხრივ დიდი უნარი გამოიჩინა და კოოპერატიულ მოძრაობაში ორგანიზაციათა რიცხვით და საქმიანობით ერთი პირველი ადგილთაგანი დაიჭირა მთელს რუსეთში. ამას თავისი მიზეზები აქვს. დღევანდელს ეკონომიურ მდგომარეობას ზედ ერთვის ეროვნული თვისება ჩვენი ხალხისა დიდად განვითარებული გრძნობა საზოგადოებრივობისა, რაიც გამტკიცებულია მრავალი სხვა და სხვა ადათჩვეულებით და ორგანიზაციით: როგრიგით, მამითადით, ოჩხარით და სხ. კოოპერატიულ მოძრაობაში ჩვენმა ხალხმა უკვე მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯიც გადადგა. ჯერ კიდევ შარშან დაარსდა სარაიონო კავშირები. კახეთის, სამეგრელოს, დასავლეთ საქართველოს კოოპერატივთა კავშირები—საუკეთესო ზედნაშენია ჩვენი კოოპერატიულ მოძრაობისა და ამტკიცებს ამ მოძრაობის ცხოველმყოფელობას. ამ კოოპერატიულ მოძრაობის ზრდა-განვითარებამ ქართულ ორგანიზაციათა საერთო კავშირის დაარსება მორიგ საკითხად გახადა. ამ ცენტრალი კავშირის დაარსების იდეა ქართველ საზოგადოებაში დატრიალდა, პრესაში ამის თაობაზე ბევრი საგულისხმიერო წერილი დაიბეჭდა. აზრი თან და თან მწიფდებოდა და დღეს თუ ხვალ განხორციელების გზას უნდა დასდგომოდა. ამ დროს თბილისის კოოპერატივთა: („ალორძინება", „თბილისის კოოპერატივი" და „ქალაქის მოსამ. მოხ. საზოგადოება",) თაოსნობით შესდგა კავშირი, რომლის დამფუძნებელი კრება დღეს არის დანიშნული. ამ კავშირმა ადვილად გაიფართოვა თავისი სამოქმედო ასპარეზი იმ განსაკუთრებული ყურადღების და მფარველობის წყალობით, რომელიც მას მისთავაზეს; ასე რომ დღეს მთელი ამიერ კავკასია მის სარბიელად არის აღიარებული.

ქართულ კოოპერატიულ ორგანიზაციებმა ამ კავშირის მიმართ თავიანთი პოზიცია უნდა გამოარკვიონ. ქართული პრესის ერთმა ნაწილმა კიდეც გამოსთქვა თავისი ჩვეულებრივი აზრი ჩვეულებრივი მოტივებით დასაბუთებული. პრესის ამ ნაწილის დებულებისა და პრინციპის გაზიარება ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია, რადგანაც ვინც ერის ყოველ მხრივ გამაგრებას და განთავისუფლებას მიზნად ისახავს, მან ხელი უნდა შეუწყოს და იდეიური პროპაგანდა გასწიოს, რომ ერმა თვის მოქმედებისა და საქმიანობის ყოველი დარგი თვის **ეროვნულ ორგანიზაციაში** გამოსთქვას. მაშასადამე, ქართული კოოპერატიული ორგანიზაციების მიზანი ერთი ცენტრალი ეროვნული კავშირის დაარსება უნდა იყოს. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად შეიძლება ამ ორგანიზაციებს სხვა და სხვა კომბინაციები დასჭირდეს და სხვა და სხვა ეტაპებიც განვლონ, დროისა და გარემოების მიხედვით. იქნებ ამ მოსაზრებით დღეს, ამ საერთო სიძვირისა და სატრანზიტო მოძრაობის განსაკუთრებული სიძნელის დროს, ხელსაყრელიც იყოს, რომ ქართული კოოპერატივები ამიერკავკასიის კავშირში შევიდნენ და ახალ გარემოებამდე იქ იმოღვაწონ, ვიდრე მით საბოლოო მიზანს—ეროვნულ ცენტრალ კავშირის დაარსებას უფრო მარჯვე დრო დაუდგებოდეს.

დღევანდელი კრებისათვის თბილისში ჩამოსულ, ქართულ კოოპერატივთა წარმომადგენლებს ჰმართებთ ამ მდგომარეობის კარგად გათვალისწინება და საღი შეგნებული მოქმედება.

# დეპეშები

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

**სომეხთა ყრილობაზედ თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მამიკონიანცი, ამხანაგებად: ჩალხუშიანცი, ვართანოვი და ასრიბეკოვი. სიტყვები წარმოსთქვეს მამიკონიანცმა და ჩალხუშიანცმა. მათ გამოსთქვეს სრული იმედი მოკავშირეების გამარჯვებისა და აგრეთვე სახომხეთის აღდგენისა რუსეთის შემწეობით. ორატორები მოუწოდებენ მთელ ერს მედგრად შეხვდნენ ომის დაგვირგვინებას. სომეხთა საკითხი რუსეთში პეტრე დიდის დროს აღიძრა; ეხლა უკვე დროა მოეწყოს და მოწესრიგდეს ეს საკითხი. პაპაჯანოვი ლაპარაკობს სომეხთა გამოქცეულებზედ; გამოქცეულებს, ამბობს დეპუტატი, დიდი დახმარება აღმოუჩინა, როგორც საზოგადოებამ ისე მთავრობამ, ჩვენა გვმართებს შევერთდეთ და ერთის ძალ-ღონით გადვიტანოთ ომის ბედიღბალიო. ყრილობაზე ჩამოვიდა 150 დელეგატი. ყრილობა აღფრთოვანებას მოკლებულია. არსაიდან მოლოცვა არ მოსულა. მიწვეულთაგან საპატიო სტუმრებად არავინ გამოცხადდა. მორიგ კრების გაგრძელება დანიშნულია ხვალიოდ. სექციებში მსჯელობა სწარმოებს სომხურ ენაზე.**

ლ. ჯ.

(მოსკოვის საკ. კორესპონდენ.)

**„ინვალიდ"-ი სწერს: მესოპოტამიის ამბებმა შეიძლება გერმანელებს ერთბაშად შეაცვლევინოს სამოქმედო გეგმა რუსეთის მთავარ ასპარეზზე.**

**„პრავიტ. ვესტ." აბათილებს გერმანელთა ცნობას ფრიდრიხშტადთან გამარჯვების თაობაზე.**

**ესპანიის მეფე ზავის დელეგატებს ჰგზავნის პეტროგრადსა, ლონდონსა, პარიზსა და ბერლინში.**

გ. ვ.

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები).

რუსეთის ასპარეზზე კუნძულ დაღენთან გერმანელებმა რუსის თხრილები ხელთ იგდეს, მაგრამ კონტრიერიშით მტერი უკან დააბრუნეს.

რუსის ჯარი, რომელიც ქერმანშაჰთან მოქმედებდა, მდ. ტიგროსთან, კუტელ-ამარას ქვემოთ, ინგლისის ჯარს შეუერთდა.

იტალიის ასპარეზზე იტალიელებმა ტერანოლო, ასტიკო და პოზენთან მწყობრად უკან დაიხიეს. აქვე ავსტრიელთა მფრინავები მოქმედებენ.

ვერდენის ასპარეზზე მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა. აქ გერმანელებმა სასტიკი იერიშის შემდეგ ფორტი უკან დაიბრუნეს.

პარიზიდან იტყობინებიან: ნაწილი სერბეთის ჯარისა სოლუნში გადმოსხეს.

**კვირის სურათებიან დამატებაში მოთავსებული იქნება სურათები: ახლად გარდაცვლილებული ლადო დარჩიაშვილი, კოტე მესხი ქანდაკება მ. ჭიაურელისა, ოცნების ტალღებში და რამდენიმე კარიკატურა. ლექსი კ. მაყაშვილისა. ესკიზი ვლ. შალიკაშვილისა და მოთხრობა „სახელოანი" მელანიასი.**

# ახალი ამბავი

✦ **სასახლეში.** მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მეუღლით ანასტასია ნიკოლოზის ასულით 12 მაისს კოჯორში აბრძანდა და იმავე დღეს თბილისს დაბრუნდა.

✦ **დიდუბის მხატვრობა.** დიდუბის ტაძრის წინამძღვარმა დეკ. ი. მირიანაშვილმა და მნათემ დ. ნახუცრიშვილმა საქართველოს ეგზარხოსს ვრცელი მოხსენება წარუდგინეს დიდუბის ტაძრის მნიშვნელობის შესახებ მთელი ქართველი ერისათვის და იმ ძვირფას ქართველ მამულიშვილთა სავანეთა შესახებ, რომელნიც ტაძრის გალავანშია დაცული. დასასრულ თვის მოხსენებისა ტაძრის კრებული სთხოვს ეგზარხოსს ნება მისცეს საგანგებო კომიტეტის შემწეობით შეუდგეს ტაძრის დახატვას. კომიტეტის წევრებად წარდგენილნი არიან დეკანოზები კ. კეკელიძე, კალ. ცინცაძე და ი. მირიანაშვილი, ექვ. ს. თაყაიშვილი, მხატვარი გრიგოლ გაბაშვილი, ხუროთ-მოძღვარი მ. ნ. ნეპრინცევი და მნათე ნახუცრიშვილი.

✦ **მეფის ნაცვლის საბჭომ** თბ. მიხეილის საავადმყოფოსთან არსებულ ქალთა სულით ავადმყოფთა თავშესაფარის გასაფართოებლად საერობო თანხიდან 48428 მან. გადასდო. ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებაში ამავე თანხიდან გადასდო 5 ათასი მანეთი მდ. რიონზე ორბელის ხიდის გაკეთებისათვის.

✦ **თბ. კომერციული სასწავლებელში** წელს 38 ყმაწვილმა კაცმა დაამთავრა სწავლა, მათ შორის სამმა ქართველმა: გიორგი ედიბერიძემ (ვერცხლის ჯილდოთი და კომერციის კანდიდატის ხარისხით) დავით გურგენიძემ და იოსებ ხუციშვილმა.

✦ **შუამდგომლობა სუბსიდიის შესახებ.** ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭო შუამდგომლობის აღძვრას აპირებს მიწადმოქმედების დეპარტამენტის წინაშე შესახებ იმისა, რომ იმან მისცეს საზოგადოებას სუბსიდიის სახით 50.000 მანეთი 1917 წელში სხვა და სხვა საქმეების გასაძღოლად.

✦ **სეტყვასა და ყინვებს** თელავისა და გორის მაზრებში საგრძნობლად დაუზარალებიათ ჰირნახული. გორის მაზრაში ყინვებს ხილეულის მოსავალი $^{3}/_{4}$ შეუმცირებია.

✦ **ილიასეულ მამულის** დასათვალიერებლად ამ დღეებში მიემგზავრება საგურამოს სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ბ-ნი ტიმოფეევი ბოტანიკურ ბაღის დირექტორი ბ-ნი როლლოვი ქართულ სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად რომელთაც უნდა დაათვალიერონ სამკურნალო მცენარეულობათა სათესი ადგილები.

✦ **ღვინის გაყიდვის ზედამხედველ** აგენტთა თათბირი ამ თვის 28-შია დანიშნული თბ. საგუბერნიო მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტის ბინაზე. თათბირს მოხსენდება შედეგები წარსულ მოქმედებისა და მომავალი სამოქმედო პროგრამა.

✦ **ებოძათ არქიმანდრიტობა:** ხირსის მონასტრის წინამძღვარს დიმიტრის და გელათის ტაძრის წინამძღვარს ანთიმოსს; **ენქერი:** ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვარს დეკ. ს. შოშიაშვილს; **დეკანოზობა:** ბორჯომის ტაძრის წინამძღვარს მღ. გორგაძეს, გორისა—მცხვეთაძეს, ნუკრიანის—ნათიძეს, თბ. ვაჟთა 1 გიმნაზიის სჯულის მოძღვარს—ჯიოშვილს, პატარა მეჯვრისხევისას—მცხვეთაძეს, ტირძნისისა—კასრაძეს, თიონეთისა—ჯინჭველაძეს, ზემო-მაჩხაანისა—ღვთისავრიშვილს, ქვათანისა—ცომაიას, ჯუმითისა—თოდუას, ფოთისა—ბობოხიძეს, მუჯარისა—მარგიანს. **იგუმენობა:** დრანდისა—ილიას. ჩელიშისა—იოანნეს და გელათისა—დოროთეოსს, **ოქროს ჯვრები** გულზე სატარებლად: სორთის ტაძრის წინამძღვარს—ჯავახიას, აბასთუმნისას—კუტალიას, ყურზუმისა—ბერულას, ზუბისა—იოსავას, ბოგილისა—დარჩიას, ხორხისა—ბაკურაძეს, ქვემო ქალისა კარბელაშვილს, რუისისა—თურქაძეს, საკორინთელოსი—კანდელაკს, მარტყოფისა—ბერიტაშვილს, მამკოდისა—ულტიაშვილს, ახალსოფლისა—კანდელაკს, გლდანისა—ელიზბარიშვილს, აღდაშისა—კანდელაკს, ზაქათალისა—ფურცელაძეს, კურდღელაურისა—დეკანოზიშვილს, არანისისა—ტყემალაძეს, წილკნისა—ბანეთიშვილს, არმაზისა—მღ. მონ. მირიანს, თბ. საავადმყოფოს ორდინატორ-ექიმ-მღვდელ ლეჟავას, მარტყოფისას—კარბელაშვილს, ტიბაანისა—ნინიკაშვილს, ქვემო მაჩხაანისა—მენთეშიშვილს, ხევისა—მამალაძეს, სუფსისა—ჩხარტიშვილს, საგვაზაავოსი—გვაზავას, ქეთილარისა—ფარხვახავას, ახალშენისა—კალანდაძეს, ლეშამუხისა—ჭანტურიას, მოწამეთისა—მღ. მონ. კალისტრატეს, ბანორდშენისა—ცქიტიშვილს, კუხისა—ცაგარეიშვილს, ცხრაწყაროსი—ანთაძეს, მურნისა—ყიფიანს, საჩხერისა—მაჭარაშვილს, სხვავისა—გიორგობიანს, ჯვარეწერისა—ჭუმბურიძეს, დრანდისა—მღ. მონ. თეოფილეს, ყარსის ჰოსპიტლისა—მახარაძეს და თბ. წმ. ნინოს სასაფლაოს—გამრეკელს.

✦ **სოხუმის ქალაქის მოურავმა** ბ-ნ ნ. თავდგირიძემ ვრცელი მოხსენება წარუდგინა მეფის ნაცვალს ქალაქის ეგრედ წოდებულ „მატროსკაია სლაბოდსკის" მიწების გადაცემის შესახებ ქალაქის ხელში. ეს მიწები ზომით 350 დესეტინას უდრის და 4 მილიონ მანეთის შემოსავალს უქადის ქალაქს. მეფის ნაცვლის სურვილით ეს მოხსენება საბჭოს გადაეცა განსახილველად.

✦ **ჯარში გასაწვევთა საყურადღებოდ.** თანახმად უმაღლესი ბრძანებისა ის ყმაწვილ კაცნი, რომელნიც წელს ამთავრებენ სასწავლებელს და უმაღლეს სასწავლებელში აპირებენ შესვლას, ეხლავე უნდა წარუდგინონ თბ. სამხედრო ბეგრის საკრებულოს განცხადება სამხედრო სამსახურში გაწვევის ვადის გაგრძელების შესახებ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე.

✦ **წიგნები აჭარლებისათვის.** ქ-ნმა ელენე გიორგის ასულმა მაჩაბლისამ აჭარლებისათვის 20-მდე სხვა და სხვა სახალხო წიგნი გაგზავნა აჭარაში. იმედია ამ ქ-ნს სხვებიც მიბაძავენ და წერა-კითხვის მცოდნე აჭარლებს სასარგებლო საკითხავ წიგნებს მიაწვდიან. წიგნები უნდა გაეგზავნოს საქ. საზ. ბათუმის განყოფილებას, რომელსაც თბილისის მთავარი გამგეობა ან ქარ. შ. წ. გ. საზოგადოება გადასცემს.

✦ **მგოსანს ი. მჭედლიშვილს**, მოსკოვში ყოფნის დროს დაუწერია: ა) **„რაჯა ბელადი"** დრამატიული პოემა სამი მოქმედებად და ხუთ სურათად. ბ) **„პავლე ბერი"** (სასულიერო თქმულება). გ) **„მონადირის დღიური"** მოთხრობა. დ) **„ოცნება და სინამდვილე"** სტუდენტების ცხოვრებიდან.

✦ რედაქციამ მიიღო **აჭარელთა სასარგებლოდ** კაპიტან პავლე იოსების ძე ჯიმშელეიშვილისაგან 25 მანეთი.

✦ **სეტყვა.** როგორც გვატყობინებენ, მუხრანი და ახლო-მახლო სოფლები დასეტყვილა ამ დღეებში. ზარალი დიდია. განსაკუთრებით დაზიანებულია ვაზები.

✦ **წარმომადგენლების არჩევა.** მომხმარებელ საზოგადოების „მეურნის" გამგეობამ აირჩია საზოგადოების წარმომადგენლებად ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირში ბ-ნნი შ. ქარუმიძე და ს. დადიანი.

✦ **დამფუძნებელი კრება.** დღეს, საღამოს, ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის დამფუძნებელთა კრება დაიწყება. კრების უმთავრესი საგანია არჩევა საბჭოს 7 წევრისა, 2 დირექტორისა და განხილვა კავშირის სამოქმედო გეგმისა.

✦ **სასოფლო სამეურნეო იარაღები.** თანახმად მიწადმოქმედების სამინისტროს გადაწყვეტილებისა, კავკასიის სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ბ-ნი ტიმოფეევი სთხოვს ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს დაუყოვნებლივ მიაწოდოს მას ცნობები შესახებ იმისა, თუ რა და რა სამეურნეო მანქანები და იარაღები იქნება საჭირო სოფლელებისათვის 1917 წელს, რითა მთავრობა დროზე შეუდგეს მათ მოპოვებას და ხალხისათვის მიწოდებას.

✦ **ქალაქის გამგეობამ** ა. ს. ჩიმიშკიანი დაინიშნა ქალაქის იურისკონსულის თანაშემწედ ტრამვაის საქმეების საწარმოებლად.

✦ **მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის** აგენტებს, რომელნიც თვალყურს ადევნებენ, რათა ყალბი ღვინოები არავინ დაამზადოს და არ გაავრცელოს, კრება ექნებათ 28 მაისს. კრებაზე უნდა გამოირკვეს, თუ რამდენად ნაყოფიერი იყო აგენტების მუშაობა დღემდის და შემუშავდეს მომავალი სამოქმედო გეგმა.

✦ **გადამდები სნეულებანი.** გუშინ, 13 მაისს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 82, ხუნაგიანი 11, სახადიანი 47, სოფლიანი 99 და გამოურკვეველი სენით 2 კაცი.

✦ **ქართველ ექიმთა კრება.** დღეს, 14 მაისს საღამოს 8 საათზე, თავადაზნაურთა საკრებულოს ბინაზე (ბელინსკის ქუჩა, 2) კრება ექნებათ ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან არსებულ ექიმთა წრის წევრებს. კრებამ უნდა განიხილოს ახლად შემუშავებული პროექტი წესდებისა მომავალ ქართველ ექიმთა საზოგადოებისა.

✦ **შაზიამანის** მეორე ნაწილი, რომელიც ფრიდონოვის კანტორას აქვს გამოწერილი თბილისში არა უადრეს 25 მაისისა იქნება მიღებული.

✦ **ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ** დაადგინა 12 მაისს, მოიწყოს საზოგადოების წევრთა წლიური კრება 26 მაისს. კრებამ უნდა განიხილოს საზოგადოების 1915 წლის მოქმედებისა და საფინანსო ანგარიში და ხარჯთაღრიცხვა 1916 წლისა, აგრეთვე უნდა აირჩიოს ხაზინადარი და მდივანი ნაცვლად ლ. ნ. დიასამიძისა და ვ. ი. რცხილაძისა, რომელნიც თანამდებობას სტოვებენ.

✦ **შემოიტანეს.** თბილისში 11 მაისს: ფქვილი 2 ვაგ., სიმინდი 1 ვაგ., ქერი 2 ვაგ., ღვინო 5 ვაგ., ხილი 174 ფუთი, თევზი 48 ფუთი.

✦ **თბ. საბირჟო კომიტეტის** უკანასკნელი სხდომა იაპონიის მოსკოველ კონსულის ტომო ხირატის მონაწილეობით შესდგა. თბ. ფირმების წარმომადგენლებმა განუცხადეს კონსულს, რომ იაპონიის მთავრობა კარგს იზამდა თუ რუსეთის ბანკებთან შეთანხმებას მოახდენდა რუსული ფულით გასწორებაზე იაპონიიდან გამოწერილ საქონელში. ასეთი ფორმა ომის დროს სხვათა შორის ინგლისის ზოგიერთ ფირმებმაც შემოიღესო. შემდეგ ამისა განუცხადეს, რომ იაპონიამ ყურადღება უნდა მიაქციოს თვის ნაწარმოებთა რეკლამას, საკომისიო კანტორების და საკონსულოების დაარსებით, როგორც მაგალითად ამერიკელებმა ბაქოში გახსნეს ასეთი კანტორა, რომლიდანაც ყველაფრის დაკვეთა შეიძლება. დაბოლოს იაპონიის მოვაჭრეები უნდა დაუახლოვდენ რუსეთის ბაზარს ფართე კრედიტის გახსნის საშუალებითაო. აზრთა გაცვლის შემდეგ იაპონიის საქონლის ნიმუშები იქმნა ნაჩვენები: პანამა, აბრეშუმეული, გოგირდი, კარანდაშები და სხვ. გამოითქვა სურვილი იაპონიის საქონლის გამოფენის მოწყობის და საგანგებო კონსულის დანიშვნის შესახებ თბილისში. კონსულმა აღუთქვა ყველა აქ წარმოთქმულ სურვილთა დაკმაყოფილება მოსკოვში დაბრუნების შემდეგ.

**ქუთაისი.**

8 და 9 მაისს, მიხეილ კავსაძის კონცერტს ორივეჯერ დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

— ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას სანოვაგის მოსაწყობ ორგანიზაციისათვის მთავრობამ ნება დართო სახელმწიფო ხაზინის თავდებობით აიღოს სესხათ კერძო ბანკებიდან ნაცვლათ 800,000 მან. 200,000 მან.

— 13 მაისს, ქუთაისში ელექტროთეატრ „რადიუმში" გაიმართება საქველმოქმედო სეანსები, რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება ვაჟაფშაველას სახელობის სამკითხველოს სასარგებლოთ.

— დავით კლდიაშვილის სახელობის სამკითხველოს გამგეობამ დაადგინა, მომავალ საზ. წევრთა წლიურ კრე-

გულ-დამწვარი ლუარსაბ დიმიტრის ძე, ეკატერინე იაგორის ასული, თამარა, ევგენია და ალექსანდრე **ხელაძეები**, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ბრძოლის ველზე (კავკასიის ასპარეზზე) გმირულად გარდაცვალებას, პირველნი უსაყვარლესი შვილისას, ხოლო დანარჩენნი ძმისას,

# ირაკლი (კაკო) ლუარსაბის ძე ხელაძისას

პანაშვიდი—კვირას, 15 მაისს, შუადღის 1 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

ბაზე წარადგინონ სამკითხველოსათვის საკუთარი შენობის ასაგები ხარჯთ-აღრიცხვა.

— ქუთაისის საოჯახო კომისიამ პურზე შემდეგი ნიხრი დაადგინა: პირველი ხარისხის პური ოყა უნდა გაიყიდოს ხუთ შაურათ, მეორე 22 კაპ. და მესამე კი ერთ აბაზათ.

— ქუთაისის დრამატიულ საზ. განუზრახავს საგასტროლოთ მოიწვიოს გამოჩენილი დრამატურგი ავტორი 5 მოქ. პიესის „ღალატისა“ სუმბათაშვილი (იუჟინი).

— ქუთაისის ქართულ თეატრს 1 ივნისიდან დაუწყებენ შეკეთებას, რომელიც გაგრძელდება ორ თვეს.

**ს. აჭარა.**

9 მაისს, შორაპნის მაზრის სოფლებში დიდი სეტყვა მოვიდა და სრულიად წაახდინა ვენახები.

**სოხუმი.**

სოხუმის საურთიერთო ნდობის საზ. ბანკის თავმჯდომარეთ გიგინეიშვილი აირჩიეს.

— ქალაქ სოხუმის მცხოვრებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთ. გუბერნატორის წინაშე, რათა მან დაამტკიცოს სოხუმის დრამატიული საზოგადოების წესდება.

**ხონი.**

მეფის მოადგილემ ნება დართო დ. ხონის სახელოსნო სასწავლებლის სასარგებლოთ 29—30 მაისს გამართონ სეირნობა.

**ფოთი.**

შაბათს, 9 მაისს, ქალაქის გამგეობის დარბაზში გრ. ხაინდრავამ გამართა ლექცია სალიტერატურო განყოფილებით პირველ განყოფილებაში ია ეკალაძემ წარმოსთქვა სიტყვა იროდიონ ევდოშვილის შესახებ. სადაც აღინიშნა მგოსნის მწარე ცხოვრება და მისი პოეზიის მნიშვნელობა. მეორე განყოფილებაში მ. ხაინდრავამ წაიკითხა ლექცია. „მომავალი ზავი და საქართველო“. შემდეგ ლიტერატურული განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს მ. ანაშვილმა—წაიკითხა ია ეკალაძის ნაწარმოები „ტყეში“, რომელმაც სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა და აგრეთვე თავისი საკუთარი ლექსები, ს. ნეველმა, მიწიშვილმა და ლ. მაჭავარიანმა წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოები დასასრულ აკ. ნიშნიანიძემ წაიკითხა ჯაჯუ ჯორჯიკიას მოთხრობა. საზოგადოება ნასიამოვნები დარჩა.

**ს. წინარეხი,** (გორის მაზრა).

ს. წინარეხის მცხოვრებ გლეხს—კაკოლა კახურაშვილს სახლი გაუტეხეს და მოჰპარეს სხვა და სხვა ავეჯეულობა. მან ეჭვი მიიტანა კავთისხევში მცხოვრებ დავითა ოთიაშვილზედ და ზაქარა კანდელაკიშვილზედ, რომელნიც ქურდობის შემდეგ მიიმალნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ შეიპყრეს დავით ოთიაშვილი, რომელიც გამოტყდა ქურდობაში და განაცხადა: მე და კანდელაკიშვილმა გავქურდეთ დურგლიშვილი და სხ. მათ ნაქურდალიც გამოაჩნდათ. ორთავე შეიპყრეს.

**ს. ბენდერი.** (გორ. მაზ.)

ვიღაც უცნობმა გასტეხა სიმონა კუდუხაშვილის სახლი, წაიღეს ფულათ რვა თუმანი, ვერცხლის ქამარი და ტანისამოსი. ეჭვი მიიტანეს ს. იპნარაში მცხოვრებ გიგა თვაურზედ რომელსაც მტრობა ჰქონია კუდუხაშვილთან.

**ს. ძიწნისი,** (გორ. მაზ.)

ამას წინათ ადგილობრივი მცხოვრები. გლეხი ქიტა ხოხაშვილი ხანჯლით დასჭრა ბექში ჯარის კაცმა ბესარიონ ხოხაშვილმა. მიზეზი ის იყო, რომ ქიტა ხოხაშვილმა იმ დროს როცა ბესარიონი ომში იყო, მის ცოლს მამულზე დავა დაუწყო. ბესარიონ ხოხაშვილი შეიპყრეს და ჯარში გაგზავნეს.

**დ. ლაგოდეხი.**

ავიატორი ქებურია ეს ერთი ხანია ყიდულობს კახეთში კაკლის ხეებს ჰაეროპლანის მასალად; რამოდენიმე ასი ვაგონი გააგზავნა. როგორც მისი აგენტები გადმოგვცემენ, ამ ბოლო დროს ხრიკებისთვის მიუმართავს: ფულს არ გვაძლევს, მასალას გვიწუნებსო და სხ. სასამართლოში უპირებენ ჩივილს.

# იროდიონ ევდოშვილის გარდაცვალების გამო

**სამგლოვიარო წერილი.**

**ქუთაისი**, განადგურებულ და უსაზღვროდ წამებულ საქართველოს ფეხზე აღდგენის და მასთან ერთად თანასწორობის მტკიცედ ამომძახველ ერთგულ მსხვერპლს იროდიონ ევდოშვილს, მაღალ ღვთის მადლით ნაკურთხს მხურვალედ თაყვანსა ვცემთ და ვგლოვობთ. მის ნაღვლიან სულის დასამშვიდებლად, ვფიცავთ დაჩაგრულ საქართველოს ერთგულებას. მშვიდობით განისვენე ძვირფასო მამულისშვილო. დაუვიწყარი იქნება შენი გმირული სახელი.

ამავე პირთა თაოსნობით კვირას, 15 მაისის თერთმეტ საათზე, თელავის ღვთაების ტაძარში, პანიშვიდი იქნება გადახდილი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. ახალგაზრდა მშრომელთა მონდობილობით: **კოტე ლოლაძე, ალექსანდრე კეკელიშვილი, რამაზ უთმელაძე, შაქრო ტროყაშვილი, ისაკო ესიტაშვილი, შაქრო ესიტაშვილი, გიორგი ი. მარკოზაშვილი, სანდრო გაგნიძე, ვანო ცერცვაძე, გიგო მწყერაძე, ვანო ჩიკვაიძე, ვანო ხუციშვილი.**

—

მე ვინ არა გტიროდეს, ძმაო ჩემო იროდიონ სოფლისა ამისა შფოთთაგან მიცვალებულსა, რადგან სამშობლო ქვეყნის საამაგოდ მოვლენილი, ან როგორც ფრინველი აღფრინდი; ვინ არა გგოდებდეს, ჰხედვიდეს რა პირსა შენსა ყვავილებრ გონებრ წყინვებულსა.

**მღ. კ. ანთიძე.**

## შემოწირულება

**ირ. ევდოშვილის** ოჯახის სასარგებლოდ ბ-ნ სვიმონ ქვარიანისაგან მივიღეთ 3 მანათი.

ჯუგაანში შეკრებილი მღ. ილარიონ შანშიაშვილის ხელით—13 მან.

ვარდგენ ამასთანავე ერთ თუმანს იროდიონ **ევდოშვილის ცოლშვილის** სასარგებლოდ.

**დეკანოზი ხ. ნათიძე.**

# სიტყვა

მღ. ლ. წულაძისა იროდიონ ევდოშვილის პანაშვიდზედ ფოთის საკრებულო ტაძარში 8 მაისს 1916 წ.

**„ვიდრემდის, უფალო, დამივიწყებ ჩვენ სრულიად? ვიდრემდის გარე მიიქცევ პირსა შენსა ჩვენგან?“.**

(ფსალ. 12,1.)

ფსალმუნის ეს სიტყვები ქართველი ერის დღევანდელ სულიერ მდგომარეობას სავსებით გამოსთქვამს, სავსებით ასაბუთებს...

ტირილი გვწყურის და ნამი
არ ეკარება თვალებსა...

ცრემლი—ეს მწუხარეთა შვება და ნუგეში—გაგვიშრა. ამ უმაგალითო ომმა ჩვენის ისედაც მცირერიცხოვანი ერისგან ერთობ ბევრი მსხვერპლი მოითხოვა, ბევრი დედა აატირა, ბევრ ოჯახს გამოაცალა ბურჯი... ყოველსავე ამის გარდა, ჯერ წელიწად ნახევარი არც კია, რომ ჩვენი ერის კულტურულ ორგანიზმს, მისი სიდიდის საწყაოს—ლიტერატურას სამი საუკეთესო წევრი მოსწყდა, სამი საუკეთესო წარმომადგენელი გამოეთიშა: განისვენა ახალმა რუსთაველმა დიდებულმა აკაკიმ, შუა გზაზე დაეცა, დაჰქრილი ლომივით, მთის არწივი ვაჟა და დღეს კიდევ ჩვენს დედა ქალაქ თბილისში დიდუბის მშობლიური წიაღი საუკუნოდ მიიბარებს „მაშვრალთა და ტვირთ მძიმეთა“ ახალგაზრდა მგოსანს იროდიონ ევდოშვილს.

თუმცა ჩვენის ცხოვრების უკუღმართობამ, ჩვენი ცხოვრების სიდუხჭირემ უკურნებელი სენი გაუჩინა მას და ადრე მოუსწრაფა სიცოცხლე, თუმცა, ვინ იცის, თანა რაოდენ გრძნობით წარიღო ფიქრნი? რაოდენ გრძნობით, ჯერ უთქმელად ის ჩაგვესვენა? მაგრამ რის თქმაც მოასწრო, ისიც დიდ განძსა და საუნჯეს წარმოადგენს ჩვენის დაბეჩავებული ერის სულიერ სალაროსათვის.

განსვენებულის ჩანგის განსაკუთრებული ღირსება და ნიშანდობლივი მადლი ის არის, რომ ვიდრე გამანადგურებელი სენის ულმობელი ხელი არ შეეხო, არ იცოდა დაბრკოლება, შიში და ყოყმანი, ვერ ეკარებოდა სასოწარკვეთილება. მისი სიმღერა მტკიცე და იმედიანია. ის მოგვაგონებს იერიქონის საყვირს, რომლის სასწაულებრივ ხმაზედ დაინგრა აღთქმული ქვეყნის გარშემო ამართული კედლები.

რაც უნდა ღამე იყოს ბნელი,
ცა ღრუბლებით მოიქუშოს,
არსად სჩანდეს ვარსკვლავები,
მთვარემ გზა ვერ გაიკვლიოს;
მაინც ველით განთიადსა,
არ შედრკება ჩვენი გული,
უკვე აღსდგა ქარიშხალი,
განთიადის მოციქული.
დეე რისხვით ცამ იჭექოს,
ელვამ გაჰკრას არე-მარეს
მთა განრისხდეს დაბლა ბარზე,
უგზავნიდეს ნიავ-ღვარებს.
დეე ბუი გაჰკიოდეს,
სდარაჯობდეს წყვდიად ღამეს
გველ-ბაყაყნიც აიშალნენ
და მოედვნენ არე-მარეს!
მაინც ველით განთიადსა,
გაიბნევა ღამე ბნელი,
მზის სხივებზედ აყვავდება,
შეიმკობა მთა და ველი...

ეს სიმღერა, როგორც ხედავთ, იმდენად ღრმა, მდიდარი, ვრცელი და ზოგადი შინაარსისაა, რომ ჩვენი ერის ყოველმა გადაგვარებულმა შვილმა უნდა მოიგონოს, როცა ეჭვი და უსასოება შეეპარება.

საქართველოს თვისი ისტორიული მსვლელობის დიდ მანძილზედ ბევრი წყვდიადი და ხანგრძლივი ღამე უნახავს, ბევრი ჰექა-ქუხილი განუცდია, ბევრ ქარტეხილსა და ღვართქაფს გადაუვლია მის თავზე, გველ-ბაყაყთა სისინიც სმენია და იმათი გესლიც მრავალ-ჯერ უგემნია, მაგრამ სასოწარკვეთილებას არ მისცემია, განთიადის მოლოდინში ქურა არ ჩაუქრია და საკუთარ გრდემლზედ და საკუთარის ჩაქუჩით ისევ მტკიცედ გამოუჭედნია თავისი ბედი. გამოუჭედნია, რადგანაც გამამხნევებლად, სასოების მთესველად, წინამძღვრად და მედროშედ ზეგარდმო მადლით ცხებული, ისენი მოციქული განთიადისა მოევლინებოდა ხოლმე, როგორიც იყო უდროოდ ჩანგ გადატეხილი ნეტარხსენებული და ძარად ნეტარ სახსენებელი ევდოშვილი.

ის სიმართლისა და ძმობის დროშის მატარებელი იყო და განთიადის სამეფოში აქ დროში უნდოდა გადასვლა.

ჩვენს რაზმს წინ წავუძღვაროთ სიმართლის და ძმობის დროშათ და არა ძალმომრეობისა და დაქსაქსვისა! სიმართლის და ძმობის დროშათ და არა სიძულვილისა და დაქუცმაცებისა!

სიმართლის და ძმობის დროშათ და არა შენ-ჩემობისა და უთავსობისა!

სიმართლის და ძმობის დროშათ და არა შურისა და გაუტანლობისა!

აი, ანდერძი განსვენებულისა! აი საიდუმლო „კლიტით მიჯაჭულის განთიადის კარების“ გაღებისა!

დავკარგეთ ასეთი სწორუპოვარი მოციქული, ასეთი უებრო ბაირაღტარი!.. დავკარგეთ უდროოდ... ჩვენს გაყინულს გულს, ჩვენს გადრკუებულს გრძნობას, ჩვენს განხეთქილების სენით დაწყლულებულ არსებას კიდევ დიდხანს ესაჭიროებოდა მისი ცეცხლებრ მწველი და ფოლადებრ მკვეთრი სიტყვა, რადგანაც, სამწუხაროდ და სამარცხვინოდ ჩვენდა, ერთობ შორსა ვართ სიმართლისა და ძმობის შეგნება-შეთვისებამდე, და, მაშასადამე, შორსა ვართ განთიადის კარების გაღებამდეც.

გარნა ვევედროთ განთიადისა და მწუხრის დამბადებელს, ნათლისა და ბნელის საზღვარმდებელს, „არა სრულიად განრისხნეს ჩვენზედა, არცა უკუნისამდე ძვირი იხსენოს, რათა არა ცოდვათა ჩვენთაებრ მიყოს ჩვენ, არცა უსჯულოებათა ჩვენთაებრ მომაგოს ჩვენ“ (ფსალ. 102, 9—10); არამედ მოგვმადლოს ერთმანეთის სიყვარული, ერთმანეთის შეწყნარება, ძმობა და ნდობა—ეს აუცილებელი წინდი განახლებისა და სასურველი განთიადისმოახლოებისა.

მაშინ ამ ქვეყნად ესოდენ განაწამები სული ძვირფასის იროდიონისა იმ ქვეყნად იგრძნობს საუკუნო შვებასა და განსვენებას.

# პურის საკითხი

„უფალო! პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს“.

ყველას კარგათ მოეხსენება, რომ უპუროთ ერთ დღეს არავინ გასძლებს. უპურობას მოსდევს აღრევა და უპურობა იწვევს აჯანყებას.

დღეს ქალაქი უპურობას განიცდის.

ურიგო არ იქნება, ცოტა თვალი მიმოვავლოთ მეპურეების და მეფურნეების მდგომარეობას.

თბილისში, ვიდრე ფქვილის ფასი აიწევდა, მეპურეები ითვლებოდნენ 253, დღეს კი 200 მეპურე (თორნე) ითვლება, ზარალის გამო 53 მეპურემ გააუქმა თავისი თორნე.

ფურნე კი მთელ ქალაქში 82 ითვლება, წინათ კი 97 იყო, ამათაც ზარალის გამო მიჰკეტეს.

თორნეში მეპურესთან მუშაობს სამი კაცი,—ერთი ცომს ზელავს, ერთი აგუნდავებს და ერთიც პურს აკრავს.

პურის ჩამკვრელს თვეში ჯამაგირი აქვს 43 მან., მზელავს—35 მ. და მგუნდავსაც—15 მან.

დღე და ღამეში 5—6 თონე უნდა გამოაცხონ, ესე იგი, 4—2 ტომარა ფქვილი უნდება, ანუ ორთაშუა რიცხვით 16 ფუთი ფქვილი.

ამ გამოცხობას დღე და ღამეში სჭირდება შეშა—3 მ. 20 კ., მარილი —25 კ., სამი მოჯამაგირისა—3 მ. 10 კ., სახლის ქირა—2 მან. და წვრილი ხარჯიც—35 კ. სულ შედგება ერთი დღე-ღამის ხარჯი 8 მან. 85 კაპ.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ფუთი ფქვილი მატულობს 15 გირვანქა გამომცხვარს, მაშინ 16 ფუთი ფქვილს 22 ფუთი გამომცხვარი გამოდის; მაშასადამე გირვანქა რომ $7^{1}/_{2}$ ვიანგარიშოთ 22 ფუთისა, შედგება—66 მანეთი.

მეპურეებს უჯდებათ თითო ფუთი ფქვილი 3 მან. 40 კაპ., 16 ფუთისა რომ ვიანგარიშოთ, შეადგენს 54 მან. 40 კაპ., მაშასადამე გამომცხვარიდან რჩება 11 მ. 60 კ.,

ერთი დღე ღამის ხარჯიც გამოვიდეთ აქედგან 8 მან. 85 კაპ., მაშასადამე მეპურეს რჩება წმინდა მოგება დღე-ღამეში 2 მ. 75 კ.

—

ახლა განვიხილოთ ფურნის შესავალ-გასავალი.

ერთ ფურნეში შევედი, თუმცა მტრულად მიმიღეს იქ მომუშავე პირებმა, სუყველანი სომხები იყვნენ და ცნობების მოცემა ეზარებოდათ.

— ჩვენი ხაზეინი აქ არ არის და და ჩვენ არაფერი ვიცით! წყრომით მიპასუხეს, ქართულათ ლაპარაკს ძლივს ახერხებენ.

— როგორ დავიჯერო, რომ არ იცოდნენ, რამდენი საწვავი გეხარჯებათ ფურნის გასახურებლად ერთ დღე-ღამეში? არ ვეშვებოდი მათ.

მაინც მტრული განწყობილება დაიჭირეს ჩემთან, თუმცა, როგორც იყო, ერთმა მათგანმა გადმომცა ზოგიერთი ცნობები.

საზოგადოდ, უნდა ვსთქვა, მხოლოდ მეპურეები ქართველებია, მეფურნეები კი მომეტებული წილი სომხებია და ბერძნებიც არიან.

იმ ფურნეში, რომელშიაც მტრულად შეხვდნენ ჩემს გამოკითხვას, მუშაობს ექვსი კაცი და მათი თვიური ჯამაგირი უდრის 230 მან., სახლის ქირაც გასდით თვეში—93 მან.

დღეში ორთა შუა რიცხვით 50 ფუთს ფქვილს აცხობენ და ეხარჯებათ: მაზუთი, შეშა—4 მ. 50 კ. მარილი 60 კ., მოჯამაგირეებისა 7 მ. 30 კ., სახლის ქირა 3 მ. 10 კ. და წვრილი ხარჯიც 30 კ.

მაშასადამე სულ დღეში ხარჯი აქვს ფურნის პატრონს 15 მ. 80 კ.

50 ფ. ფქვილს გამომცხვარი გამოდის 69 ფუთი და 7 კაპეიკობაზედ რომ ვიანგარიშოდ, შედგება 193 მ. 20 კ. 50 ფუთი. ფქვილის ფასი რომ გამოვიდეთ, ესე იგი 170 მან. დარჩება შემოსავალი 23 მ. 20 კ., აქედანაც ერთი დღე ღამის ხარჯიც 15 მ. უნდა გამოვიდეთ, მაშასადამე მეფურნეს რჩება წმინდა მოგება ერთ დღეში 7 მ. 40 კ.

ეს ზემოხსენებული მეპურეს და მეფურნეს ანგარიშები საშუალოთაა აღებული.

—

პურის ფასს ყველა აქცევს ყურადღებას, რადგან ეს არსებითი საკითხია.

სხვა სანოვაგეს ისეთ ყურადღებას არ აქცევენ, თუმცა ზღაპრული ფასებია დადებული. ყველას მოეხსენება რომ ამ ზამთარს ხახვი და კართოფილი მიმალეს და მანამ ხახვი არ დაალპეს და კართოფილი არ ჩააშავეს, მანამ არ გამოიტანეს გასაყიდად ვაჭრებმა.

დღეს ყველი სამ შაურიანი ოთხაბაზში იყიდება, განა თუ არ იშოვება? სანოვაგე ბევრია ქალაქში, მაგრამ ქალაქის გამგეობა ამას ყურადღებას არ აქცევს.

—

როგორც მეპურეების მამასახლისმა ეფრემა ისაკაძემ გადმომცა, მეპურეებს უყიდნიათ ქალაქის გამგეობისაგან (ჯაბარი და შავერდოვი) 87 ტომარა ფქვილი და ნიხრზედ ზედმეტი გადაუხდევინებია 60 მან., პოლიციისათვის შეუტყობინებიათ მეპურეებს ქალაქის გამგეობის საქციელი. გამგეობას რომ გაუგია, პოლიციამდის საქმე მისულაო, მეპურეებისათვის ფული 60 მან. დაუბრუნებია.

პურის საკითხი ქალაქის გამგეობას შესაფერისად არა აქვს მოგვარებული უპურობის გამო ბევრს გაჭირებას განიცდიან.

და ბევრი მათგანი შესთხოვს: „უფალო! პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს“...

Legatus

# მომხმარებელ საზოგადოების „მეურნის“ წევრთა საგანგებო კრება

**12 მაისი.**

კრება გაიხსნა საღამოს 7 საათზე. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ან. ზ. გრიგოლია, ხოლო მდივნად—ბ-ნი ს. დადიანი.

თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ირ. ევდოშვილისა და ვლ. დარჩიაშვილის ხსოვნას.

კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება შესახებ იმისა, რომ საჭიროა „მეურნე“ ჩაეწეროს წევრად ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირში. ამ საკითხის შესახებ გამგეობის წევრებმა, თ. ღლონტმა, შ. ქარუმიძემ და ს. დადიანმა შესაფერი სიტყვები წარმოსთქვეს. ორატორებმა მოაგონეს კრებას საზოგადოების წინანდელი დადგენილება, რომ „მეურნე“ არ შესულიყო წევრად აღნიშნულ კავშირში, რათა სხვების მიერ არ შევიწროებულიყო მისი მოქმედება, არამედ ღონისძიება ეხმარა შეეკავშირებინა ეროვნულ ნიადაგზე ქართული კოოპერატივები. მაგრამ ეხლა, იმავე ორატორების განმარტებით, გარემოება შეიცვალა და, რათა „მეურნე“ გარიყული არ დარჩეს სხვებისაგან, ჟამთა ვითარება თხოულობს, რომ იგი აუცილებლად შევიდეს კავშირში წევრად. შიში შესახებ იმისა, რომ „მეურნე“ არ ჩაიყლაპოს სხვებისაგან, ამ ჟამად უნიადაგოა, რადგან კავშირის გამგეობა საქართველოს ცენტრში, თბილისში, იქნება და კავშირის წევრების უმრავლესობას ქართული კოოპერატივები შეადგენენ.

კრებამ ერთხმად დაადგინა ჩაეწეროს „მეურნე“ კავშირში წევრად და დაავალა გამგეობას 2 თავისი წევრი გაგზავნოს კავშირის დამფუძნებელთა კრებაზე საზოგადოების წარმომადგენლებად.

კრება დაიხურა ღამის 11 საათზე. კრების გაგრძელება შემდეგ მოხდება.

# ბაჟი საჩუქრებზე

გამოქცეულების მოწყობის მთავარი რწმუნებულის ბ-ნი თამამშევის და სხვათა შუამდგომლობით ფინანსთა მინისტრმა ერთ ხანობას ნება დართო, რომ გამოქცეულ სომხებისთვის საბაჟოებს უბაჟოდ გაეცათ უცხოეთიდან მათდა შესაწევნელად და საჩუქრად გამოგზავნილი ახალი ნივთები. ეს განკარგულება სხვა და სხვა მიზეზის გამო კვლავ გადაუსინჯავთ, უკანონოდ უცვნიათ და გაუუქმებიათ. ამ დღეებში თბილისის საბაჟოს უცნობებია ბ-ნ თამამშევისთვის, რომ ამიერიდან საჩუქრებს ბაჟის გადაუხდელად ვერ მიიღებთო.

# თავ. ალ. ი. სუმბათაშვილის გასტროლი

მორიგი პიესა, რომელიც გასტროლიორმა მისთავაზა ჩვენს საზოგადოებას, გახლდათ ემილ ოჟიეს ნაწარმოები „ჟიბუაიეს შვილი“. ღირებულებით ეს პიესა თვალსაჩინო ხელს არ ეკუთვნის. მისი დადგმა უცხოთა სცენაზე სახარბიელოს არას წარმოადგენს, როგორც მხატვრობით, ისე შინაარსით. ამ შემთხვევაში ჩვენს საზოგადოებას აინტერესებს გასტროლიორის ხელოვნება და მით უფრო სამწუხაროა, რომ როლი ჟიბუაიესი არავითარ დაფნას არ ჰმატებს მის ნიჭს, რასაც მთელი რუსეთი ღირსეულად ეთაყვანება. თუ ამ მხარეს არ შევეხებით, პიესა სრულის ანსამბლით დამთავრდა. თქმა არ უნდა, პიესის უმთავრესი გმირების გამსახიერებელნი, როგორც თვითონ ბ-ნი სუმბათაშვილი ჟიბუაიეს როლში, ისე ქ-ნი იურიევისა (m-me გარეშალი), ქ-ნი ლევშინა (ბარონესა პფეფერსი) და ქ-ნი შტენგელი უბადლო თამაშით დაგვირგვინებდნენ ამ უსიცოცხლო პიესას. ბ-ნი ვასილიევი (მაქსიმილიანე ჟერარის როლში) [illegible] და საზოგადოებ[illegible] ეპიზოდისმენტებიც დაიმსახურა.

სამწუხაროდ უნდა შევნიშნოთ, რომ თეატრი ნახევარზე მეტად ცარიელი იყო, პარტერიც კი რა არის, ისიც არ იყო სავსე, არა თუ იარუსები. ისე სჩანს თითქოს საზოგადოება ერთგვარს ბოიკოტს უცხადებს. თვით ქართული ელემენტებიც კა არსადა სჩანდა. ასეთი გულცივობა სწორედ რომ განსაცვიფრებელია. თვით ქართველი მსახიობნიც კი, რომელთათვისაც ასე რიგად საჭიროა მწყობრი და გამოცდილ მსახიობთა თამაშის ნახვა, რომ უსკოლობის ნაკლი შეივსონ, არც ერთს წარმოდგენას არ დასწრობიან. მათ უფრო, ვიდრე საზოგადოებას, ჰმართებთ უგულებელ არ ჰყონ ასეთი იშვიათი შემთხვევა, სხვა რომ არა იყოს რა, სცენაზე თავის დაჭერას და ფეხის სწორე გადადგმას მაინც ისწავლიან...

**დ. კასრაძე.**

—

P. S. თავ. ალ. ი. სუმბათაშვილი ორშაბათს ჩვენს საზოგადოებას გააბედნიერებს თვის უკვდავი პიესით: „ღალატით“. მთავარი როლები განაწილებული იქნება დასის საუკეთესო ძალთა შორის: თვითონ ბ-ნი სუმბათაშვილი, ლევშინა, იურიევისა, შტენგელი, ვასილიევი და სხვანი, აი ის ძალები, რომელთაც ვნახავთ „ღალატის“ დასაგვირგვინებლად.

**დ. კ—ძე.**

—

P. S. ვსარგებლობ შემთხვევით და ვასწორებ გუშინდელ რეცენზიაში შეპარებულ სამწუხარო შეცდომას: სწერია: „ჩვენთვის ნათელი შეიქმნა, რომ მსახიობი ისევე უფლობს ყველა გრძნობას და ვნებას, როგორც რომ ძვესე ლაპერუნებს“,—უნდა იყოს: „....ყველა პერუნებს“. შემდეგ: „ქ-ნი იურიევისა თამაშობდა დედაკაცს“.—უნდა იყოს: „დედოფალს“, და ბოლოს: „...ქ-ნი მელნიკოვისა“, უნდა ყოფილიყო: „ქ-ნი შტენგელისა“.

**დ. კ.**

# იარაღი და თბილელი სომხები

გუშინდელ „საქართველო“-ში მოყვანილი ცნობის („იარაღი მესროპის სახელზე“). დამატებად უნდა აღვნიშნოთ რომ შარშან შემოდგომაზე თბილისში ვიღაც ვახაპეტიანცის სახელზედ თბილისის საბაჟოში მოსულა 25 ყუთი იარაღი, სულ 274 ავტომატიური რევოლვერი და 140,000 პატრონა. ეს იარაღიც მთავრობას ჩამოურთმევია და სამხედრო უწყებისთვის გადაუცია.

—

შარშანვე ამ იარაღის შემოზიდვის სეზონის დროს გაზეთ „მშაკის“ რედაქტორსაც ჩამოსვლია ერთი ჩემოდანი ავტომატიური რევოლვერები და პატრონები. ამ იარაღსაც ის ბედი სწვევია, რაც ვახაპეტიანცის იარაღს.

# რად აღშფოთდნენ?

აი ამ ერთსულოვანმა გამოსვლა-დარაზმვამ გამოიწვია ის გამხეცებული მორიელისებური პროვოკაციული შხამი „თავისუფალ მოაზრისა“, 30 აპრილის 97 ნომერში და 29 აპრილის მოწინავე წერილში „უანგარო“ პუბლიცისტებისა!

მათ ვითომ-და დიდი გული შესტკივათ ქართველი გლეხებისათვის, თავხედურად ჩასძახიან: „გლეხნო, დაიცავით თავი, თორემ ეს რაღაცა ერობა არის, თავადებმა თავიანთ სასარგებლოდ უნდა გამოიყენონ და უნდათ [illegible] ბატონყმობის [illegible] და მაშინ ვაი თქვენი ბრალი! დაგპატრონებიან თქვენს ადგილ-მამულს და [illegible] გაგიძლიერონ და [illegible] და [illegible] თავი [illegible] და [illegible] ჩემს

ბატონებს დოლუხანოვ-ევანგულოვ-ადელხანოვ-მილოვებს და კამპანიასო“. კაკაბაძეს, ყანჩელს და ყიფიანს კარგ გროშებს აძლევენ ამ უადამიანო პროვოკაციისთვის და ისინიც სწერენ. 30 აპრილის 97 ნომერში ბ. „თავისუფალი მოაზრე“ და მოპროვაკატორე გმობს ფედერალისტების ღალატს: „იმათ აიღეს ჩვენს ვექილობაზე ხელი, კაციჭამია შოვინისტებს ამოუდგნენ გვერდში და ხალიჩა უნდათ გამოგვაცალონ ფეხიდან და მით სურთ ულალატონ კაცობრიობას და ჩვენს გამოქცეულებსო“. მერე მიმართავენ სოციალდემოკრატებს და ხელ-გაწვდენილი ევედრებიან: „კიდევ თქვენ, კაცობრიობისათვის ღვთისაგან მოვლენილნო, ჩვენო მფარველნო, ისევ თქვენ უნდა მოგმართოთ და უნდა გვიხსნათ! არივ-დარიეთ ის ერთსულოვანი გამოსვლა თქვენი ნაციონალისტებისა, რომ ხელი მოვითბოთ თქვენს ტერიტორიაზე, თქვენ ხომ ინტერნაციონალისტები ბრძანდებით და თქვენთვის ხომ სულ ერთია ვინც უნდა ჩამოსახლდეს თქვენს ტერიტორიაზეო. ჩვენ კიდევ, ხომ მოგეხსენებათ, „ხელი ხელსა ბანსო“, ხომ გახსოვთ, ჩვენი წყალობით იყო, რომ სახელმწიფო სათათბიროში წამოგასკუპეთ იმ მიზნით, რომ კრინტი არ დაგეძრათ რაღაც საქართველოზედაო“.

ამნაირის ვედრების კილოთი მიმართავს სომხების რუსულ ორგანოში ბ. „თავისუფალი მოაზრე“.

აი, ბატონებო, სანამდის მიდიან ჩვენი მეზობლები, აღარაფერს არ ერიდებიან, ოღონდ ჩვენში ერთსულოვნობა აღმოფხვრან და მით თავიანთი ბედნიერება ჩვენს უბედურებაზე ააშენონ.

გვესმის სოლიდარობა ერთმანეთის პატივისცემით, რომ ერთმანეთის საკუთრებას მოწიწებით ვეპყრობოდეთ და არა ისე, რომ სხვის უბედურებაზე ავაშენოთ საკუთარი ბედნიერება. რამ დაუფრთხო ძილი და ან რა წავართვით ჩვენ, ქართველებმა, ჩვენს მეზობლებს და რას გვედავებიან?

ტყუილად ძილს ნუ იფთხობენ ბ. „თავისუფალი მოაზრენი“ და ძმანი მათნი თვალს ვეღარ აუხვევენ გამოფხიზლებულ ქართველს ხალხს. თავადებსაც და ხალხსაც „კავკასკოე სლოვო“-სი და „თავისუფალ მოაზრეების“ უნდა გვეშინოდეს, იმ „თავისუფალ მოაზრეების“, რომელთაც გროშებისთვის მოუკალათნიათ გაზ. „კავკას. სლოვოში“ და ეწევიან პროვოკაციას ბატონის ბრძანებით, რათა ამით წყალი აამღვრიონ.

ი. გ—ანი.

## ფოსტის აბ-ჯარში

**ოზურგეთის ფოსტის განყოფილების გარშემო**

ბევრჯელ და ბევრი რამ დაწერილა საზოგადოთ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა შრომის განუსაზღვრელი ექსპლოატაციაზე, მათი ნივთიერი და ჰიგიენური ცხოვრების შესახებ და, როგორც იქნა, ყურად იღეს მათი ღაღადისი ძლიერთა ამა სოფლისათა და ამ უკანასკნელ დროს სულ მცირე რამ გაიღო მმართველობამ მათ ნივთიერად ასე თუ ისე უზრუნველსაყოფლად, ხოლო, რაც შეეხება ჰიგიენურ ყოფა-ცხოვრებას, ამაზედ ურს არავინ არ იბერტყავს და კიდევ დიდი დრო გაივლის, სანამ სასურველად მოაწყობდნენ ამ დაწესებულებას ისე, რომ შიგ მოსამსახურე უზრუნველყოფილი იქნეს ათასგვარი გადამდები სენისა და ავადმყოფობისაგან.

მთელი დღეობით აუარებელი ხალხი იყრის თავს ფოსტის დაწესებულებაში და მთელი ამ ხნის განმავლობაში ფოსტის მოხელე ისუნთქავს მტვერს და მასთან ერთად ბევრნაირი სენის ბაცილებსაც; თითქმის მთელ დღეს სკამზეა დაწებებული მოხელე, მოკლებულია სუფთა ჰაერს, ჩამხრჩვალია აუტანელ შრომაში და ნაადრევად სნეულდება, ესალმება სიჭაბუკეს, ახალგაზდობას და ჯანმრთელობას.

დიდრონ ქალაქებში შედარებით კიდევ არა უშავს-რა ფოსტის შენობას; რაც შეეხება პროვინციის განყოფილებას, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ 75% ასეთ განყოფილებისა აშკარა მავნებელია მოსამსახურეთა ჯანმრთელობისთვის, მაგრამ ანგარიშს არა კაცი არ უწევს მათ ინტერესებს, ყურად არავინ არ იღებს მათ გასაჭირს.

ავიღოთ თუნდ ოზურგეთის ფოსტის განყოფილება:

1913 წ. შემოსავალი ჰქონია — 16000 მ.
„ დეპეშები მიუღიათ და გაუგზავნიათ —— 15,000 ც.
1914 წ. შემოსავალი —— 20,000 მ.
„ დეპეშები —— 17,000 ც.
1915 წ. შემოსავალი —— 24,000 მ.
„ დეპეშები —— 20,000 ც.

მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში 3,000-დე ამანათი მიუღია გადასაგზავნად; ასეთი ოპერაციები, მგონი მე-IV და V კლასის კატეგორიის კანტორებშიც არა სწარმოებს, არამც თუ მე-VI კლასისაში, რომელ კატეგორიის რიცხვშიცაა მოქცეული ოზურგეთის ფოსტის განყოფილება და მოსამსახურეთა შტატის რაოდენობაც ამის კვალობაზედაა.

შენობის ვარგისიანობაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია: განყოფილების უფროსს შენობის მეორე სართულში უფასოდ (სახელმწიფო ხარჯზე) ეძლევა ბინა, მაგრამ წარმოიდგინეთ ასეთი სურათი დაიწყო წვიმა და მეორე სართულში ჩამოსული წყალი ტბას აყენებს თვით ფოსტის განყოფილებაში და რა იქნება უფროსის ვითომდა საცხოვრებელ ბინაზე, ეს თვით მკითხველმა წარმოიდგინოს.

ეს შენობა უფრო საქონლის ფარეხსა ჰგავს, ვიდრე საცხოვრებელ ბინას და ამიტომ უარი სთქვა ბ. უფროსმა უფასო ბინაზე და სხვაგან სცხოვრობს.

საოპერაციო ოთახის სიდიდე 5×6 არშინს უდრის და ისიც გაყოფილია შუაზე რკინის ბადით; $2^2/_1$ არშ. სიგანის ადგილი დატოვებულია კლიენტებისათვის, რომელთა რიცხვიც ხშირად აღემატება 204 და პარასკევ-კვირაობუთ უფრო მეტსაც. ოთახი ნოტიო და შმორიანი.

მიუხედავად იმისა, რომ მთელ დღეებს კანტორაში ატარებენ მოსამსახურენი, მაინც ვერ ასწრებენ მუშაობას და მცხოვრებთა შორისაც ხშირად გაისმის საყვედურები.

დროა ყურადღება მიაქციოს, ვისგანაც ჯერ არს, ხსენებული ფოსტის განყოფილების და იზრუნონ შესაფერ ადგილზე გადატანა; აგრედვე მოსამსახურეთა შტატის გადიდებაზეც, მით უმეტეს, რომ თვით საქმე მოითხოვს ამას, მცხოვრებთა ინტერესები და განყოფილებას შემოსავალიც თავისუფლად დაფარავს ხარჯებს.

გ. ჯავახი

## შაბიამანის და გოგირდის საკითხის შესახებ

ამ ბოლო დროს ზოგიერთ ადგილობრივ გაზეთში და ერთ-ერთ სატახტო გაზეთშიც იყო დაბეჭდილი შაბიამანის და გოგირდის შესახებ სრულიად შემცდარი აზრი და ცნობები. წერილების ავტორნი მ. ე. ფრიდონოვს ბრალსა სდებენ—თითქოს მას მიწათმოქმედების უწყების შემწეობით მოტანილი შაბიამანი მიეყიდოს ვაჭარ-სპეკულიანტებისათვის. სამინისტროს კი უსაყვედურებდენ—ყურს არ უგდებს ამ საქმესო. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, რომ მკითხველმა საზოგადოებამ იცოდეს სიმართლე, ვსთქვა შემდეგი.

მიწათ-მოქმედების სამინისტრო მოწდომებული იყო, რომ მემამულეთ თავის დროზე შეეძინათ ვენახებისთვის წამალი; ამიტომ 1915 წელს, ადრე შემოდგომაზე, მიმართა მევენახეობის კომიტეტებს, სამეურნეო საზოგადოებათ, კოოპერატივებს და კერძო მემამულეთ, რათა მათ დაეკვეთათ დეპარტამენტისათვის შაბიამანი და გოგირდი და შეეტანათ ბეთ სამი მეოთხედი ფასისა. ამასთან დეპარტამენტი საყოველთაოდ აცხადებდა, რომ რადგანაც ძნელია საზღვარ-გარეთიდან შემოტანის ნებართვის აღება, აგრეთვე გემების შოვნა და წამოღება, დეპარტამენტი არ კისრულობდა მოვალეობას, რომ დაკვეთილ საქონელს თავის დროზე ან სრულათ ჩააბარებდა დამკვეთთ.

აგრითვე დეპარტამენტმა მოახდინა განკარგულება აღმოეჩინათ დახმარება სხვა და სხვა დაწესებულებათათვის და კერძო პირთათვის ვინც-კი მოისურვებდა შაბიამან-გოგირდის გამოწერას იმ პირობით, რომ საქონელი უნდა გაეყიდნათ გადაწყვეტილ ფასებში და მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის ორგანოების კანტროლის ქვეშ.

ასეთი დახმარება, რომელიც გამოიხატა ვალიუტის მიცემაში ინგლისიდან საფრანგეთიდან და იტალიიდან საქონლის გამოტანის ნებართვის აღებაში, მიეცათ მოსკოვის სახალხო ბანკს, ერობებს, კოოპერატივებს და მ. ე. ფრიდონოვს.

ფრიდონოვმა იკისრა შეეძინა ინგლისში 110,000 ფუთი შაბიამანი და საფრანგეთში და იტალიაში 70,000 ფუთი გოგირდი, რომელიც უნდა გაეყიდნა: შაბიამანის პირველი პარტია 12 მ. 45 კ. ფუთი, მეორე პარტია 14 მან. 10 კ. ფ. და გოგირდი პირველი პარტია 6 მ. 25 კ. ფუთი. ეს ფასებია დანიშნული გემზე ქ. არხანგელსკში მოტანით. იმ საქონელზედ კი, რომელიც შეეცვაზე მოდის, ჯერ მიწათმოქმედების დეპ. ფასი არ განუსაზღვრავს.

შარშან ზაფხულიდანვე ბ. ფრიდონოვი შეუდგა შეკვეთების მიღებას. ბევრმა კოოპერატივებმა, მომეტებულად კახეთის რაიონიდან, მევენახეობის კომიტეტისაგან, ერობისაგან და სამეურნეო საზოგადოებისაგან, არამც თუ „შეკვეთა“ მოუვიდა ფრიდონოვს, არამედ მათ ბევრიც წარუდგინეს.

რადგანაც ომის მიზეზებით მეტათ გაძნელდა და გართულდა საზღვარ-გარეთიდან საქონლის შემოტანა რუსეთში, ბ. ფრიდონოვმა შესძლო მოტანა არხანგელსკში წარსულ ნოემბერში მხოლოდ 12,400 ფ. შაბიამანი. თბილისის გუბერნიის მარშლის მოადგილის თავ. მ. ა. სუმბათაშვილის შუამდგომლობით მეფის მოადგილემ დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ მოახდინა განკარგულება და ეს შაბიამანი გამოიგზავნა არხანგელსკიდან და მოვიდა თბილისში იანვრის ბოლო რიცხვებში. ეს თორმეტი ათას ოთხასი ფუთი შაბიამანი მიეცათ მევენახეობის კომიტეტებს ორდერებით: 27 კოოპერატივს 8989 ფუთი 20 გირ. დანარჩენი კი დაურიგდათ 266 სხვა და სხვა სამეურნეო და საერობო ორგანიზაციებს და კერძო მემამულეთ, რომელთა სიაც წარდგენილი ჰქონდა მიწათ-მოქმ. დეპარტამენტს, მიწათ-მოქმ. რწმუნებულთან კავკასიაში და თბილისის მევენახეობის კომიტეტს.

შაბიამნის მეორე პარტია 18,600 ფ. გემებმა ვეღარ მოიტანეს არხანგელსკში, რადგანაც ზღვა ნოემბრის ბოლოს გაიყინა და ჩარჩა ქალაქ ალექსანდროვსკის ნავთსადგურში.

შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ შაბიამანი გადმოეტანათ არხანგელსკში ყინულის მტვრეველ გემებით, არ იქნა შეწყნარებული, რადგანაც საჩქაროთ სამხარი მასალა გადმოქონდათ. ახლა კი, როცა ყინული გადნა და გემთა მიმოსვლა დაიწყო, ეს მეორე პარტია წამოსულია არხანგელსკში, საიდანაც დეპარტამენტის დახმარებით საჩქარო მატარებლით (Маршрутными поѣздами) გამოიგზავნება მევენახეობის რაიონებში. ამ მეორე პარტიის განაწილება ბ. ფრიდონოვმა მე წარმომიდგინა დასამტკიცებლათ. ახლო-მომავალში ბ. ფრიდონოვი ელის არხანგელსკში 36,000 ფუთამდე გოგირდს და 31,000 ფუთამდე შაბიამანს, შვეციიზედაც მოაქვს 6,800 ფ. შაბიამანი. ამის შემდეგ შეძლებისა დაგვარათ მოვა დანარჩენი პარტიებიც. გარდა ამისს კავკასიაში მოვა გოგირდ-შაბიამანი, რომელიც არის შეძენილი დეპარტამენტის დახმარებით, მოსკოვის სახალხო ბანკის, თელავის საკრედიტო ამხანაგობის (12,400 ფ.) და ვლადივოსტოკიდან მოველოდები 37,000 ფ. გოგირდს, რომელიც ჩემს სახელზე არის გამოგზავნილი მისი იმპერ. უმაღ. პრინცი ა. პ. ოლდენბურგის განკარგულებით. ამ გოგირდიდან 24 ვაგონს ველით ბალაჯარაში 14 მაისისათვის.

მაშასადამე გოგირდ-შაბიამნის გადმოტანა მოკავშირე სახელმწიფოებიდან შესაძლოა მხოლოდ მიწათ-მოქმედების სამინისტროს ნებართვით. საქონელი მოვა თუ არა რუსეთში დამოუნა მაშინვე დაწვრილებითი ცნობებს აწვდის მიწად-მოქმედების დეპარტამენტს და მხოლოდ მთავრობის დახმარებით შეიძლება საქონლის გადმოტანა რკინის გზებით რუსეთის იმპერიაში. და მე როგორც სასურსათო საქმის თავმჯდომარე ვიცი, თუ რა საქონელი იგზავნება კავკასიისაკენ.

ამგვარად იმისი მტკიცება, რომ ფრიდონოვმა შემოიტანა მეტი შაბიამანი და მიჰყიდა სპეკულიანტებს სრულიად სიმართლე არ არის.

ადგილობრივ რომ შაბიამანი იყიდება დიდ ფასებში— ეს შაბიამანი ზოგი შარშანდლიდან დარჩენილი და ზოგიც რუსეთის ქარხნებშია გაკეთებული.

მიუხედავათ ყოველი ნახმარი ღონისძიებისა, წამალი ვერ მოვიდა თავის დროზე რუსეთში, ეს რასაკვირველია, შედეგია ომის, რომელიც მეტად აფერხებს შემოტანასაც საზღვარ-გარეთიდან და აგრეთვე ჩვენი რკინის გზებით გადმოტანასაც, და ასეთი გარემოება ავიწროებს და აძნელებს ხალხისათვის სხვა და სხვა გვარ საჭიროების დაკმაყოფილებასაც.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მალე შაბიამან-გოგირდი მოვა და ეს საკითხი ასე გამწვავებული აღარ იქნება.

ვსთხოვ იმ გაზეთებს, რომელშიაც იყო მოთავსებული წერილები შაბიამანის შესახებ, გადაბეჭდონ ეს წერილიც.

მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებული კავკასიაში. (თ. აზ.)

ქ. შაშკოვსკი.

## დაბა-სოფლები

**ახალციხე.** ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების საქმეები კარგად ვერ მიდის. წევრებს საწევრო ფულის გადახდა სიკვდილსავით ეზარებათ. გამგეობის წევრებიც არას აკეთებენ. ბევრმა მათგანმა თანამდებობას თავიც გაანება, ხოლო ვინც დარჩა, ისინიც ერთად ვერ მოთავსებულან. გამგეობის თავმჯდომარე დ—ზი დ. ხ—შვილი 2—3 თვეა სულ იმას გაიძახის: აღარ მსურს, სხვა ოავმჯდომარე აირჩიეთ და საქმე გამოაკეთეთ, ნუ დაღუპავთ განყოფილებას, არაფერი კეთდებაო; ბარემ სამჯერაც მიიწვია საზოგადო წევრთა კრება, მარა კრებაზე არავინ ცხადდება რაოდენიმე თითზე ჩამოსათვლელ წევრთა გარდა და საქმე ისევ უმოქმედოდ რჩება.

არ იფიქროთ, ბატონებო, ჩვენში მარტო განყოფილების საქმე იყოს ასე უწესრიგოდ დაყენებული, ასევეა რაბათის უფასო სამკითხველოს საქმე, რომელიც არავითარ სარგებლობას იძლევა და მაზედ დახარჯული ფულები ტყუილ-უბრალოდ წყალს მიაქვს.

კიდევ უარესს მდგომარეობაშია ჩვენი კოოპერატიული მომხმარე საზოგადოების „მესხეთი“-ს მართველობის საქმე, რომლის წესიერ გამოსწორებას დიდი მანძილი აქვს გამოსავლელი, მაგრამ უფრო დაწვრილებით ამაზე შემდეგში ვილაპარაკებთ „საქართველო“-ში. ამ ჩამოთვლილ მაგალითებით ის უნდა მოგახსენოთ, რომ ადგილობრივი ქართველი საზოგადოება თავისი დაუდევრობისა და გულციობის წყალობით ვერ იჩენს უნარს საზოგადო საქმეებში.

შხამიანი ისარი.

## ანგარიში

**ქართველ მოღვაწეთა აგარაკის** ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად აპრილის განმავლობაში შემოვიდა შემოწირულება შემდეგ პირთაგან:

მოსკოვის ქართველ საზოგადოებისაგან 100 მან. იაკობ იოსების ძე ორბელიანისაგან 50 მან., მიხეილ გრიგოლის ძე სესიევისაგან 50 მან.

**ოცდახუთ-ხუთი მანეთი.**

ივანე ივანეს ძე ზურაბიშვილისაგან, კნ. ანნა ნიკოლოზის ასული ბეგთაბეგიშვილისაგან, თავ. ილია დიმიტ. ბეგთაბეგიშვილისაგან, თ-დ სვიმონ რევაზის ძე ვახვახიშვილისაგან, ბესარიონ თათეოზის ძე თელიასაგან, ნიკოლოზ თეიმურაზ. ხარავასაგან, ალექსანდრე წუწუნავასაგან.

**ოც-ოცი მანეთი.**

ენუქი ერასტის ძე მელაძისაგან, კირილე კოპლატაძის მიერ შეგროვილი 17 მან. და 50 კაპ., თ. ვ. ლობჟანიძის მიერ შეგროვილი სადგურ პროხლადნაიაში 15 მან. 50 კ.

**თითო თუმანი.**

ნიკოლოზ იაგორის ძე მზარეულიშვილისაგან, გიორგი მიხეილის ძე ლოლობერიძისაგან, კნ. ბარბარე ელიზბარის ასული რუსიშვილი-კორჩიბაშევისაგან, კნ. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისაგან, თავად ალექსანდრე ივანეს ძე ჯამბაკურ-ორბელიანისაგან, თინათინ გიორგის ასული ფორაქაშვილისაგან, სპირიდონ გაბელაშვილისაგან, ევგენი მიხეილის ძე გაბუნიასაგან, თ-დ ლევან გიორგის ძე ჯანდიერისაგან, ექიმი ალექსანდრე დიმიტ. ალექსიძისაგან, ვლადიმერ მიხეილის ძე ხმალაძისაგან, რაჟდენ ყარამანის ძე დათეშიძისაგან, ნიკიტა არტ. ადამოვისაგან.

ყაზახაშვილისაგან ექვსი მანათი.

**ხუთ-ხუთი მანეთი.**

მიხეილ ნიკოლოზის ძე მჭედლიძისაგან, გიორგი თედორეს ძე ჟორდანიასაგან, მაგდანა გიორგის ასული გაბაშვილისაგან, ივანე თედორეს ძე ნიჟარაძისაგან, თ-დ მიხეილ ნიკოლოზის ძე ვეზირიშვილისაგან, თ-დ იოსებ ნიკოლოზის ძე თუმანიშვილისაგან, ოლღა გრიგოლ. გარაყანიძისაგან, აბელ ოქროპირის ძე იაშვილისაგან, პავლე გაბრიელის ძე საყვარელიძისაგან, თ-დ ჩოლოყაშვილისაგან, თ-დ გურამიშვილისაგან, ზედგინიძისაგან, გარსევან პავ. კურდღელაშვილისაგან, სვიმონ ნიკოლ. კასრაძისაგან, დეკანოზ კაპიტონ გაწერელიასაგან, ზაქარია გაბრიელის ძე სოსანიძისაგან.

**ოთხი მანეთი.**

დესპინე ფარსადანოვისაგან.

**სამ-სამი მანეთი.**

ლუარსაბ მერაბის ძე გედევანიშვილისაგან, ვასილ ფარნაოზის ძე ყიფიანისაგან, სოფიო ფარნაოზის ასული ჩიქოვანისაგან, ნინო დიმიტრის ასული მანსვეტაშვილისაგან, იოსებ ლევანის-ძე მუსხელაშვილისაგან, კონსტანტინე მიხეილ. აბულაძისაგან, გიორგი დავით. კურაშვილისაგან, დეკანოზ კორნელი კეკელიძისაგან, მჭედლიშვილისაგან, ფარცვანიასაგან, ტიბილაშვილისაგან, თ-დ ჩხოტუასაგან, კობახიძისაგან, მათე შათირიშვილისაგან, ბ. შენგელაიასაგან, ნინო მიხეილ. გოგნიაშვილისაგან, გიორგი ზაქარ. ნამორაძისაგან, ზაქარია ვასილ. ჯავახიშვილისაგან, ნიკოლოზ ივან. სიხარულიძისაგან, კ-ნა ნინო რევაზ. ხიმშიაშვილისაგან, იოსებ იასეს ძე გველესიანისაგან.

ელისაბედ ეკაიასაგან 2 მან. 50 კ.

**ორ-ორი მანეთი.**

ნადეჟდა ნიკოლოზის ასული ბალიასნიასაგან, მარიამ ელიავასაგან, ელენე პავ. კიზირიასაგან, კ-ნა ნინო მიქელაძისაგას, ელისაბედ ვეზირიშვილისაგან, ანნა იოსებ. მანსვეტაშვილისაგან, ელენე ელიოზიშვილისაგან, მარიამ გიორგ. წინამძღვრიშვილისაგან, მიხეილ კოდალიშვილისაგან, ილიკო ნიკოლოზ. კურტანიძისაგან, მღვ. არჩ. გორგაძისაგან.

ი. ქადაგიშვილისაგან 1 მან. 50 კ.

**ერთი მანეთი.**

[illegible] ფალაქიშვილისაგან, [illegible] ჯაფარიძისაგან, ელენე ვეზირიშვილისაგან, ივანე თეოფილეს ძე ჯიჯავაძისაგან, ი. დალაქიშვილისაგან, მარიამ მჭედლიშვილისაგან, ვასო პაატაშვილისაგან, მარიამ პეტრ. ნარიმანიშვილისაგან, გრიგოლ ბერუჩევისაგან, უცნობისაგან, თავად ყარამან ფაღავასაგან, გერმან ჯვარეიშვილისაგან და გიორგი ივან. კობიაშვილისაგან 50 კაპ.

წინანდელთან ერთად სულ არის 3,064 მანეთი და 24 კაპ.

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების ხაზინადარი **ზურ. ივ. გველესიანი.**

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი**


კბილის ექიმმა
**მამულაიშვილმა**
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

**ვაგზლის სამკურნალოში**
(შიხინოკის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
**სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.**
აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.
(თ.—126—24)

**შეშის საწყობი**
**ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა**
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასად
**საკუთარი ტყიდან**
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საგალანტერიო მაღაზია
**ერ. ივ. ჭავჭანიძისა და**
**ი. ი. გველესიანისა**
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

საუკეთესო კახური
**ღვინის საწყობი**
**ადამ ზურაბის ძის**
**ბერელაშვილისა**
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5., საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ქ. ბაქოში
**ღვინით ვაჭრობა**
**„მელაანი“**
**თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.**
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

**თევზის მრეწველნი**
**ძმ. ძეგველოვები**
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
**განყოფილება ავლაბარში**
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოხნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.




სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.